ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



**მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილი დამემუქრა, სარდაფის სურნელი ჯერ კიდევ 2013 წელს ვიგრძენი“**



გვ.3

ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2018 №247 (7792) ფასი: 60 თეთრი

# „გამიშვით, ვაბშე, მიშას დავბრიდავ. სამი-ოთხი თვე მოვამზადებ და.... დაჭერამდე ორი დღით ადრე ავედი კახიშვილთან და ვჯდები-მეთქი“



რუსთავი 2-მა მირზა სუბელიანის და ვიქტორ ჯაფარიძის საუბრის ჩანაწერი გამოაქვეყნა



გვ.2

**გიორგი გაჩეჩილაძე: „მირზა სუბელიანს ძალოვან სტრუქტურებში არ უნდა ემუშავა“**



გვ.6



**გია ნოდია: „პატარკაციშვილის სიკვდილზე საქმის აღძვრა სხვა თემების გადაფარვის მცდელობაა“**

გვ.5



**ვახტანგ ძაბირაძე: „ვერ გავიგე, ქვეყანაა თუ კინოსტუდია?!“**

**ალეკო ელისაშვილი: „ესენი უნდა გავყაროთ!“**

გვ.4



## სამართალი



**„ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა მიხეილ სააკაშვილისგან სანქცირებული და დათა ახალაიასთან შეთანხმებული იყო“**

ბრიფინგი პროკურატურაში

გვ.7

**ადვოკატი ველიჯანაშვილი: „ჩანაწერში მარტო იმას ამბობენ, რომ ჩეჩნებს რაღაც საწამლავი აქვთ, რომელიც ორ-სამ დღეში კლავს“**



**გიორგი მერებაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა**

**რევაზ შიუკაშვილი: „ბავშვობაში მეზობლის ფანჯარა გავტეხე და ამაზე ბრალს როდის წამიყენებთ?“**





**ფაშისტური მოძრაობის ლიდერს 16 ადვოკატი იცავს**

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** თამარ ჩხეიძე: „ზურაბიშვილის არჩევა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არნახულ საფრთხეს შეუქმნის“

**8** ვინ დაუჭირს მხარს მოსკოვის საპატრიარქოს?!

**7** სვანეთში ჯომარდობისას 33 წლის რუსი ტურისტი დაიღუპა

**8** ნიკოლ პაშინიანი გადადგა

# „გამიშვით, ვაბშე, მიშას დავბრიდავ. სამი-ოთხი თვე მოვამზადებ და.... დაჭერამდე ორი დღით ადრე ავედი კახიშვილთან და ვჯდები-მეთქი“

## რუსთავი 2-მა მირზა სუბელიანის და ვიქტორ ჯაფარიძის საუბრის ჩანაწერი გამოაქვეყნა

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში ჩანაწერების ომი გრძელდება.

მირზა სუბელიანის სკანდალური ჩანაწერის შემდეგ „ოცნებამ“ საზოგადოებას ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმის გახსნით უპასუხა.

ამას ნაციონალები საეჭვოდ მშვიდად შეხვდნენ. დღის ბოლოსთვის კი ახალი სკანდალი დაანონსდა. რუსთავი 2-მა სუბელიანის და დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის საუბრის ახალი ფრაგმენტი გამოაქვეყნა, საიდანაც ჩანს, რომ სუბელიანი მზად იყო, მოეკლა მიხეილ სააკაშვილი.

ის ამბობს, რომ სააკაშვილის ლიკვიდაციის მოსამზადებლად 3 თვე დასჭირდება.

სუბელიანი სოზარ სუბარის გვარსაც ასახელებს. საუბრის შინაარსიდან ცნობილი ხდება, რომ სუბარი არის ის პიროვნება, რომელიც სუბელიანს აკონტროლებდა, მაგრამ ახლა ყოფილი პროკურორი ამტკიცებს, რომ მისი და „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ისევე, როგორც მმართველი პარტიის, გზები გაიყო.

– ეჰ, ეგრე არ არი. ამათ უნდათ, რომ ფიქრობენ, რომ მე ციხეში გავტყდები და იმ თემაზე წავალ, რასაც ეგენი მეუბნებიან. რატო არ წავიდე... ავიღებდი ორ მილიონს, ჩავიდებდი ჯიბეში და წავიდოდი პარიზში და დავალეწავდი თავ-ყბას ყველას და ღირსებიც იქნებოდნენ დღევანდელი გადმოსახედიდან.

მაგრამ დღეს ამას ვერ ვიზამ, კაცური სიტყვა მაქვს ნათქვამი და ხელი მაქვს ჩამორთმეული და ჩემი სიტყვა არ დარღვეულა არასდროს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში და დღეს ამას არ ვიზამ, მაგრამ. მაგრამ რომ გამოვალ გარეთ, დავუჯდები, ძმაო, დაველაპარაკები და ვეტყვი, ძმაო, ამ ყველაფრის მერე ვინ ვარ, კიდევ




„იზგოი“ ვარ? დამიფიქსირეთ!

მტერი ვარ კიდევ თქვენი? რო ვიცოდე რა?... მერე პასუხისმგებელი ვიქნები ჩემს ქმედებებზე. ჩემი გადასაწყვეტია. არავისზე ნაკლები ორატორი არ ვარ, არავისზე ნაკლები ჭკუა არ მაქვს. არავისზე ნაკლები კომპრომატები არ მაქვს. ამას, რასაც მე მაბრალებდნენ მთელი ცხოვრება. ოთხი წლის განმავლობაში და კადრებში მაყურყუტებდნენ, მირზა არ გავწიროთ, ბევრი კომპრომატი აქვსო, ერთი კაცი მითხრან, ვისთანაც დამცდენია რამე, – მიმართავს სუბელიანი მასთან საკანში შესულ ვიქტორ ჯაფარიძეს და დავით ცუხიშვილს.

რუსთავი 2-ის მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერში საუბარია იმაზეც, რომ სუბელიანი სუბარის გამო იკავებს მხოლოდ თავს. ახლა კი მზადაა, მას დაელაპარაკოს და აუხსნას, რომ ყველაფერს იტყვის.

– ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით, აგერ „ომეგა ჯგუფისა“ და უჩას ჩანაწერების მსგავსად, არავის არაფერი არ დახვედრია. ერთადერთი ფაქტორი, ძმაო, რაც მაკავებდა, ეს სოზარის ფაქტორია, დღეს ეგ ფაქტორიც აღარ არსებობს. არ არსებობს იმ თვალსაზრისით, რომ მე მივალ და ამ კაცს ავუხსნი. ის თვითონ გულგატეხილია, ის ჩემზე მეტს ნერვიულობდა და ვეტყვი, რომ სოზარ, შენ ნუ გეწყინება, ძმაო, ჩვენი გზები გაიყრება. მე რასაც გავაკეთებ, მე ვიცი. დაირღვევა პირობა? მე ვიცი, შევხედავ, ძმაო, გვერდში ვჭირდები?

გამიშვით, ვაბშე, მიშას დავბრიდავ. სამი-ოთხი თვე მოვამზადებ და.... ვაბშე იარაღს არ გამოვიყენებ, ისე დავბრიდავ. რაღაცას გავუკეთებ. ორი ვარიანტია, ან უნდა დავბრიდო, ან უნდა შევეკრა და მაგასთან შეკვრა არ მინდა, ნამდვილად არ მხიბლავს მაგისი წინადადებები მე, – ამბობს სუბელიანი.

კურიერის მიერ გავრცელებულ ჩანაწერში საუბარია იმაზეც, რომ სუბელიანს „ოცნების“ მაღალჩინოსნებზე მაკომპრომეტებელი მასალები აქვს.

ის სასჯელაღსრულების ყოფილ მინისტრ კახი კახიშვილსაც ახსენებს. ჩანაწერის მიხედვით, დაკავებამდე სწორედ მისგან ითხოვდა სუბელიანი პატიმრობის განსაკუთრებულ პირობებს და, ამასთან, ფარული მასალებით აშანტაჟებდა.

რუსთავი 2-ის მიერ გავრცელებული ჩანაწერის თანახმად, სუბელიანი ამბობს, რომ 2013 წელს კახიშვილი ფარული მიყურადების ობიექტი იყო.

საუბარში ნახსენებია ლალი მოროშკინა.

– ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული, ძმაო, ესენი არიან ნაცებთან. ეს თემა თუ არ იყოს, შემაფურთხე თვალებში, რასაც ესენი აკეთებენ.



ამას ესენი აკეთებენ ხელოვნურად, რომ მე ავფეთქდე, გავგიჟდე, კამერა ჩამოვიღო, ერთი-ორი კონტროლიორი ზემოდან დავაწვინო და მერე თქვან, აი, ხომ ხედავთ რა, მირზამ ვერ გაქაჩაო, ნერვებმა უმტყუნაო.

აბა, რისთვის ხდება ეს. თორემ დაჭერამდე ორი დღით ადრე ავედი მინისტრთან კახიშვილთან, მე თვითონ ვიყავი და მივდივარ ძმაო და ვჯდები-მეთქი და იმედია, შენი მხრიდან პ..ბა არ იქნება-მეთქი, პირში ვუთხარი, თორე შენ რასაც აკეთებდი 2013 წელში, ეგ ძალიან კარგად ვიცი-მეთქი, ერთ რამეს შეგახსენებ-მეთქი, შენ რომ ლალი მოროშკინას მართავდი-მეთქი და ერთხელ რომ გავიდა ზეთში-მეთქი და „კახი, კახი“ და რომ ატყდა ერთი ამბავი-მეთქი, შენ დაარიგე ლალი მაროშკინა, რომ შენი სახელი კი არა, კახი კალაძის სახელი იყო და ეგ აუდიოჩანაწერები ტ...ში აქვთ მეთქი.

რავი, მე მგონი დრო ხომ არ არის, რაღაც რომ მოვახდინო, იმიტომ, რომ იქ „ომეგას“ აქვს ფარული ჩანაწერები, აქ პეტრეს მიაქ ფარული ჩანაწერები, აქ თურმე შაყულაშვილი გამოვიდა და მე გამომიყვანა, თურმე ჩემი შვილი მოკლესო, ჩათვალეო, – ამბობს სუბელიანი.

# თამარ ჩხეიძე: „ზურაბიშვილის არჩევა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არნახულ საფრთხეს შეუქმნის“

მარიამ მჭედლიშვილი

დაკავებული პროკურორის, მირზა სუბელიანისა და მის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში სტაბილურობა დაარღვია. ყოფილი დისიდენტი და დეპუტატი თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში იმაზე უარეს საფრთხეზე საუბრობს, ვიდრე ის ფაქტებია, რომლებზეც ფარულ ჩანაწერში სუბელიანი საუბრობს.

***– საზოგადოებას უფრო მეტი უნდობლობა გაუჩნდა ხელისუფლების მიმართ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე საკანში კვირასაც იმყოფებოდა.***

– რასაც საზოგადოება განიცდის, უნდობლობასა და ეჭვებზე მეტია. ყველასთვის ნათელია, რომ ჯაფარიძე ამ დღეს ციხეში ხელისუფლების დავალებით შევიდა. გეგმის მიხედვით, უნდა გაბათილებულიყო ის, რაზეც მედიით გავრცელებული ჩანაწერით მოვისმინეთ.

***– ამის გაბათილება ვერ მოხდა?***

– რასაკვირველია, ვერ მოხდა. მეორე საუბარი, რომელიც ნაჩქარევად შეითხზა და გათამაშდა, აშკარად ყალბია. ეს დადგმა არაბუნებრივია, საუბრის მონაწილენი კი დაბნეულები ჩანან. თუ ეს საუბარი მართლა შედგა და დეპუტატმა ჯაფარიძემ გაიგო, რომ მისი მოსაუბრე ტყუილების ტირაჟირებას აპირებდა, მაშინ რატომ ხმა არ ამოიღო ამ „სიცრუეზე“ სხვა საუბრისას?

ამ სპექტაკლებით ხალხი დარწმუნდა, რომ პირველი ჩანაწერი, სადაც ჩანს სუბელიანის მონაწილეობა ხელისუფლების ბინძურ და დანაშაულებრივ დავალებებში, სიმართლეა. „ქართული ოცნების“ განმარტებით, თუ სიყალბის ჩადენა უნდოდათ, ჯაფარიძეს ციხეში შეაპარებდნენ და მასზე ნებართვას არ გასცემდნენ.

ეს რომ გაეკეთებინათ, ციხეში შესვლის ფაქტი მაინც გახმიანდებოდა და უნებართვო შეღწევაზე მეტი ხმაური ატყდებოდა. ამიტომ გააფორმეს ოფიციალური შეხვედრა. პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ხელოვნური საუბარი ხალხს უფრო მეტად არწმუნებს იმაში, რომ სუბელიანი ივანიშვილის ხელისუფლების უზნეო შეკვეთებს ასრულებდა.

***– როგორ ფიქრობთ, მოახერხებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას?***



– მინდა იმედი მქონდეს, რომ ვერ მოახერხებს. საუბედუროდ, ამაში დარწმუნებული არა ვარ. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აქამდე არნახული საფრთხე ემუქრება.

***– ორი რეგიონი ოკუპირებულია. მათი „დამოუკიდებლობა“ ოკუპანტის გარდა, რამდენიმე სახელმწიფომ აღიარა. წინ უარესი გველის?***

– არის საშიშროება, რომ ჩვენ ეს მიწები სამუდამოდ დავკარგოთ. ამის მომზადებაში მონაწილეობენ ქართველები.

***– ბოლოდროინდელი განცხადებები გაქვთ მხედველობაში?***

– განცხადებები იმის შესახებ, რომ 2008 წელს ომი საკუთარ ტერიტორიაზე თვითონ საქართველომ დაიწყო, ყოველთვის სახიფათო იყო. ასეთი განცხადებები „ოცნების“ ლიდერებისაგან ადრეც მოგვისმენია. ამჟამად ეს საფრთხე გაათკეცებულია. ბევრად უფრო საშიშია, როცა ასეთ განცხადებას აკეთებს ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირი. ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელიც უთხრის ძირს საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ერთიანობას.

უამრავი არჩევნები გამომივლია. არაერთხელ ყოფილა, რომ არჩევნებში გაუმარჯვიათ ჩემთვის მიუღებელ კანდიდატებსა და ძალებს, მაგრამ ასეთი შიში არჩევნების მიმართ არ მქონია. სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ძალიან სახიფათოა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის.

***– გგონიათ, რომ ის 2008 წლის ომის თემაზე გაპრეზიდენტების შემთხვევაშიც გააკეთებს ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ის ამ მისიით მოდის თანამდებობაზე. მსგავსი განცხადება მას ერთხელ კი არა აქვს გაკეთებული! 2008 წელს, მაშინ, როცა საქართველოში მაშინდელი ხელისუფლების სხვა ოპონენტები ჩუმად იყვნენ, სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებას ადანაშაულებდა. ტვ პირველზე, „რეაქციაში“ მას გაცხადებული აქვს, რომ საქართველომ ცხინვალი დაბომბა და ამის გამო ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ.

ქვეყანას თუ ეყოლება ამ ანტისახელმწიფოებრივი იდეების გამტარებელი პრეზიდენტი, შეიქმნება საფუძველი იმისათვის, რომ ჩვენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე პრეტენზია არ გვქონდეს. ჰააგის სასამართლო იკვლევს ამ საკითხს. ჰააგაში ასეთი ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტი რომ დაიბარონ, დაასკვნიან, რომ რუსეთი 2008 წელს მართალი და უდანაშაულო ყოფილა.

ამჟამად ჩვენი მიწები ოკუპირებულია, მაგრამ თუ გაგრძელდა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები და მოქმედებები, მოხდება ამ ტერიტორიების აღიარება საერთაშორისო დონეზე. ეს მისია აქვს ზურაბიშვილს. იმისთვის, რომ ის „დავერბოვკებულია“ პუტინის მიერ, სპეციალური დოკუმენტების ნახვა აუცილებელი არ არის. მრავალრიცხოვანი განცხადებებითა და 2008 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნით ზურაბიშვილი ამას ადასტურებს.

***– სხვა კანდიდატების მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯებისაგან დაზღვეული ვართ?***

– ასეთი საფრთხე სხვა არავისგან არ არის მოსალოდნელი. განსაკუთრებულად არც ერთ კანდიდატს არ ვუჭერ მხარს, მაგრამ ჯობია, ხმა მივცეთ იმათ, ვისაც ზურაბიშვილის გარდა, გამარჯვების შანსი აქვს. სალომე ზურაბიშვილი კატასტროფის მომტანია. ისეთ მდგომარეობაში



ვართ, რომ აქცენტი პარტიებზე არ უნდა გავაკეთოთ. აქ წყდება არა პარტიების, არამედ, საქართველოს საკითხი.

სხვა კანდიდატები ასეთ რისკებს არ ქმნიან. „ქართული ოცნება“ რომ არჩევნებს უბრალოდ აყალბებდეს რომელიმე სხვა კანდიდატის, პირობითად, კოლექტიური ღარიბაშვილის მიმართ, ამას როგორღაც ავიტანდით. ახლა ბევრად უარესის წინაშე ვდგავართ. ეს არ უნდა დავუშვათ.

კიდევ ერთი – „ქართული ოცნების“ რეაქცია გამოქვეყნებულ საუბრებზე გაოცებას იწვევს.

***– ბევრი თვლის, რომ „ოცნების“ ლიდერების რეაქცია ამ პროცესებზე არაადეკვატურია.***

– ნაცმოძრაობას ყოველთვის ვაკრიტიკებდი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალური მოძრაობის რეაქცია მაშინდელ ციხის კადრებზე უფრო შესაბამისი იყო. ისინი მაშინ შეწუხდნენ და დაიბნენ. მერე ისიც გამოაშკარავდა, რომ რამდენიმე სცენა დადგმული იყო. ნაციონალებმა 2012 წელს პასუხისმგებლობა იგრძნეს. ისინი გატყდნენ და იმ არჩევნებისთვის შესაბამისად არ მომზადებულან. „ქართულ ოცნებას“ შეწუხება და პასუხისმგებლობა არ ემჩნევა. ეს ადამიანები ყველაფერში უსირცხვილოები არიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე: „ბიძინა ივანიშვილი დამემუქრა, სარდაფის სურნელი ჯერ კიდევ 2013 წელს ვიგრძენი“

შორენა მარსაგიშვილი

რა კავშირი აქვს პატარკაციშვილის საქმის გამოძიებას მოახლოებულ არჩევნებთან, ვისი დახმარებით და როგორ მართავს ივანიშვილი ქვეყანას, რატომ დაემუქრა ის ყოფილ დეპუტატს, რა კომპრომატებს ვიხილავთ მომავალში? – ამის შესახებ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.





## „ქართული ოცნება“ ქვეყანას სარდაფებით და ბანდფორმირებებით მართავს“

***– ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე ხელისუფლებამ სკანდალური ჩანაწერები გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ჯერ კიდევ 2 წლის წინ იყო გამოძიებული, მაგრამ რატომღაც შემონახული ჰქონდათ. რისთვის ინახავდა ამ საქმეს „ოცნება“?***

– მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ომი. ხელისუფლება გაშიშვლებულია, რისი ეჭვებიც ხალხს ჰქონდა, ეს ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით დადასტურებულია. ამის გადასაფარად რაღაცაა საჭირო და გაახსენდათ პატარკაციშვილის საქმე. უფრო ადრე პროკურატურამ ვიქტორ ჯაფარიძის და მირზა სუბელიანის საუბრის ახალი ვერსია შემოგვთავაზა.

პატარკაციშვილის საქმის ჩანაწერები ხელისუფლებას ხელთ 2 წლის წინ ჰქონდა. საქმე მაშინ უნდა აღძრულიყო, მაგრამ არ აღიძრა. არ აღიძრა იმიტომ, რომ სახელმწიფო არის ჩამოშლილი. დიახ, ხელისუფლება არის უნიათო.

პატარკაციშვილის თემა რეზონანსულია და „ოცნებას“ იმედი აქვს, რომ ამით არსებულ რეალობას გადაფარავენ, ახლა მათთვის მთავარია, როგორმე მიაღწიონ არჩევნებამდე. იმდენად ჩამოშლილები არიან, რომ „ოცნების“ სააგიტაციო პროპაგანდას მოსახლეობაში ვერ ვგრძნობ.

***– არჩევნების წინ სკანდალური ჩანაწერების გამოქვეყნება საქართველოში ჩვეულებრივ ამბად იქცა. აქ კიდევ გაგრძელდება ჩანაწერების გამოქვეყნება თუ ორივე მხარემ ამოწურა თავისი მარაგი?***

– არ გამოვრიცხავ, რომ გაგრძელდეს. ძალიან ბევრი და ცუდი რამე ხდება და ამაზე ალბათ იქნება ჩანაწერები. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ რაიმე სასწაული ვიხილოთ.

***– ამ დღეებში თქვენც სკანდალური განცხადება გააკეთეთ და თქვით, რომ ბიძინა ივანიშვილი დაგემუქრათ.***

– დიახ, ბიძინა ივანიშვილი დამემუქრა. 2012 წლის 2 ოქტომბერს მე უკვე ვიცოდი, რომ ივანიშვილი ისე დაიწყებდა ქვეყნის მართვას, როგორც ახლა მართავს. ამაში 2013 წლის თებერვალში საბოლოოდ დავრწმუნდი.

2013 წლის თებერვალში ბიძინა ივანიშვილი პრემიერის რანგში, ოფიციალური ვიზიტით ანკარაში იმყოფებოდა. ახლაც მიმაჩნია, რომ ეს იყო ძალიან წარმატებული ვიზიტი, მაგრამ მქონდა შენიშვნები. პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე, რომელსაც 12-13 კაცი ვესწრებოდით, მის მინისტრებს მივეცი შენიშვნა იმიტომ, რომ რაღაც მოვლენა სწორად ვერ შეფასდა.

ბიძინა ივანიშვილმა იმ დღეს, საჯაროდ საყვედურის თქმა ვერ გამიბედა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა სახეზე, რომ ჩემმა ნათქვამმა ძალიან გააბრაზა. მეორე დღეს დამირეკა და კამათი დამიწყო. ჩვენი კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ჩემთან საუბარი ივანიშვილმა ასეთი სიტყვებით დაასრულა, ქუჩაში ფრთხილად იყავი, ქუჩაში არაფერი მოგივიდესო.

ეს არის კრიმინალური განცხადება – ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ქვეყნის პარლამენტის ვიცე-სპიკერს ემუქრება იმით, რომ მას ქუჩაში არაფერი მოუვიდეს. ეს არის მუქარა და ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. ჩემ მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს.

***– ამის შესახებ მაშინვე რატომ არ თქვით?***

– მარტივი მიზეზის გამო – არ მინდოდა, რომ მას მშიშარა ვგონებოდი და ეფიქრა, ამას მხოლოდ იმიტომ ვახმაურებდი, საზოგადოებაში ჩემი დამცველები გამოჩენილიყვნენ. მე კი მშიშარა არა ვარ, თქვენი გაზეთის მკითხველს ბოდიშს ვუხდი ამ გამოთქმაზე, მაგრამ სულ შარვლის ტოტზე მკიდია ივანიშვილის მუქარა.

***– აბა, ახლა რატომ თქვით ამის შესახებ?***

– იმიტომ, რომ ხალხმა გაიგოს. რაც შემეხება მე, არც წინა ხელისუფლებების მეშინოდა და არც ამათი მუქარის არ მეშინია.

***– საერთოდ არაფრის და არავისი არ გეშინიათ?***

– მხოლოდ იმის მეშინია, რომ სიმართლის ჩარჩოებს მიღმა არ გავიდე, ეს არის ჩემი კრედო და ამოცანა.

ჩემ მიერ ამ მუქარის არგახმაურება არ ვიცი, როგორ შეაფასა ივანიშვილმა, მაგრამ მან მუშაობა გააგრძელა. მუქარიდან 3 კვირაში მან ჩემი მეგობარი დააპატიმრა. ის ადამიანი 2012 წლის 1 ოქტომბრის ერთ-ერთი შემოქმედი გახლავთ. გაგახსენებთ, რომ მაშინ „ქართულ ოცნებას“ 1.200.000 კაცმა მისცა ხმა. ეს არ იყო შემთხვევითი მოგება, ეს იყო ნამდვილი ბრძოლა ნაციონალურ მოძრაობასთან.

ამ გამარჯვების ერთ-ერთი შემოქმედი, როგორც უკვე გითხარით, ჩემი მეგობარი იყო. ის „ოცნების“ ხელვაჩაურის შტაბის უფროსი იყო და არჩევნების შემდეგ ხელვაჩაურის გამგებელი გახდა. ეს ადამიანი მხოლოდ იმის გამო დააკავეს, რომ ჩემზე ზემოქმედება მოეხდინათ.

***– არც ამაზე თქვით არაფერი?***

– ეს ფაქტი გავაპროტესტე. „ოცნების“ ლიდერებს ვუთხარი, ძალიან კარგად ვიცი, ამას იმიტომ აკეთებთ, რომ ჩემსა და ივანიშვილს შორის უთანხმოებაა.

ჩვენ შორის უთანხმოება მომავალშიც გაგრძელდა. სიმართლე თუ გინდათ, რასაც ივანიშვილი 2012 წლის 2 ოქტომბრიდან აკეთებდა, ჩემთვის ყველაფერი იყო მიუღებელი.

***– მაგალითად, რა იყო მიუღებელი?***

– პირველ რიგში ის, რომ ყველა ნაძირალა, ყველა გამყიდველი, ყველა მლიქვნელი, ყველა მედროვე, რომლებიც პარტიებიდან პარტიებში დახტოდნენ, ივანიშვილმა დააწინაურა.

„ქართული ოცნების“ აქტივისტები, რომლებმაც 2012 წლის 1 ოქტომბერი შვეს, 3 ოქტომბრის შემდეგ ჩამოიცილეს. ამას ვაპროტესტებდი და ვამბობდი, რომ თანამდებობაზე პრინციპების ერთგული ადამიანები უნდა დაინიშნონ. ასეთი ადამიანები ბიძინა ივანიშვილს არ უყვარს.

ამ ადამიანმა თანამდებობაზე მხოლოდ ის ხალხი დანიშნა, ვინც მის მონობას დათანხმდა, მონობაზე მე ხელი არ მოვაწერე. სამ თვეში ივანიშვილი, როგორც უკვე გითხარით, დამემუქრა.

ჩვენ შორის უთანხმოება თვეების მანძილზე გაგრძელდა. მას „ოცნებიდან“ ჩემი გარიცხვაც უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

***– რატომ გადაიფიქრა?***

– საპარლამენტო უმრავლესობის რიგმა წევრებმა დაარწმუნეს, რომ „ოცნებიდან“ ჩემი გარიცხვა პარტიისთვის არ იქნებოდა კარგი. ბევრი ადამიანი შეეცადა, რომ „ოცნებიდან“ არ წავსულიყავი. თავად ივანიშვილიც შეეცადა ჩემ შემობრუნებას, მაგრამ მე მხოლოდ ერთ შემთხვევაში შევბრუნდებოდი, თუ კურსი შეიცვლებოდა.

ეს კურსი არ შეიცვალა და ქვეყანა მივიდა იმ კრიზისამდე, რასაც ჰქვია ფარცხალაძე, სუბელიანი, მონა ყიფიანი.

ამ ქვეყანაში, 2004 წლის 6 მაისამდე, მხოლოდ განდგომილ რეგიონში არსებობდა კრიმინალური დაჯგუფება, რომელსაც ბანდიტი ასლან აბაშიძე მეთაურობდა. 2004 წლის 6 მაისს ეს ბანდფორმირებაც განეიტრალდა.

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში მართლა დიდი რამე მოხდა, ნაციონალები შევცვალეთ, მაგრამ „ოცნების“ ლიდერმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ივანიშვილი 2012 წლის 1 ოქტომბრის 20.00 საათამდე.

***– მოდით, ისევ მუქარის თემას დავუბრუნდეთ. მიიჩნევთ, რომ თქვენი განცხადების საფუძველზე პროკურატურამ საქმე უნდა აღძრას. რითი დაამტკიცებთ, რომ მართლა დაგემუქრათ ივანიშვილი? ამ საუბრის ჩანაწერი ხომ არ გაქვთ შენახული?***

– ამ საუბრის აუდიო ჩანაწერი არა მაქვს, მაგრამ ჩემ წინააღმდეგ რომ „ოცნებამ“ ბრძოლა დაიწყო, ამის დამტკიცება შემიძლია.

მე ბათუმის მაჟორიტარი ვიყავი და, პარლამენტის გარდა, მაჟორიტარის ბიუროშიც ვმუშაობდი, სადაც ჩემს ამომრჩევლებს ვხვდებოდი.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სამუშაო ოთახში ორი ახალგაზრდა შემოვიდა. ვერც ერთი მათგანი ვერ ვიცანი.

ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, სკოლის დირექტორი ვიყავი, მაგრამ იმის გამო, რომ „ოცნებას“ ვუჭერდი მხარს, ნაციონალებმა სამსახურიდან გამაგდესო. მე მას ვუთხარი, რომ არ მახსოვდა სკოლის დირექტორი, რომელიც სააკაშვილს განუდგა და ჩვენ დაგვიჭირა მხარი. ამის მიუხედავად, დავპირდი, რომ განათლების სამინისტროს წერილს მივწერდი და მისი სამსახურში აღდგენის სამართლებრივ გზას მოვძებნიდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს ახალგაზრდა ისევ მოვიდა ჩემთან. მას თან ახლდა სპორტული აღნაგობის მამაკაცი, რომელმაც მთხოვა, რომ სასაუბროდ გარეთ გავსულიყავით.

***– ქუჩაში გასვლას რატომ გთხოვდათ?***

– მითხრა, ოთახი შეიძლება ისმინება და სკანდალური რაღაც მინდა გითხრაო. ვუთხარი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვარ და რაც არ უნდა ჩანაწერი გაკეთდეს, შენს უფლებას დავიცავ.

ამის შემდეგ პირდაპირ გადავიდა შეტევაზე და უხეშად მითხრა, 10.000 დოლარი რომ მოგეცი, უკან უნდა დამიბრუნოო. იმავე წუთში გავვარდი გარეთ. მოვიყვანე დაცვის პოლიცია და ეს ორი ბიჭი დაიჭირეს და დასაკითხად წაიყვანეს.

ის, რაც მოხდა, იყო ხელისუფლების მიერ მოწყობილი პროვოკაცია. ამასთან დაკავშირებით მაშინდელ მთავარ პროკურორსაც მივმართე, საქმეც აღიძრა, მაგრამ მას შემდეგ 5 წელი გავიდა და არანაირი წინსვლა არ არის.

***– ამ ფაქტზე თუ არ მოხდა რეაგირება, რანაირად უნდა დაუმტკიცოთ პროკურატურას, რომ 5 წლის წინ ივანიშვილი დაგემუქრათ?***

– ამ მუქარაზე მე ბევრად ადრე მაქვს გაკეთებული საჯარო განცხადება. პირველად ამაზე 2014 წელს რუსთავი 2-ის ეთერში, ეკა კვესიტაძის გადაცემაში ვისაუბრე.

***– რატომ არავინ მიაქცია მაშინ ამას ყურადღება?***

– იმიტომ, რომ მაშინ ეს სხვა ამბით გადაიფარა. 2014 წელს ეკა კვესიტაძემ დამირეკა და მითხრა, მოპოვებულია ვიდეო-აუდიო ჩანაწერი, სადაც თქვენ თვითმმართველობის არჩევნებზე საუბრობთო. მომასმენინეს ის ჩანაწერი და მკითხა, ავთენტური იყო თუ არა. პირდაპირ ეთერში მიდიოდა ეს. მოვისმინე ეს ჩანაწერი და დავადასტურე, რომ მართლა ჩემი ნალაპარაკევი იყო.

***– რა საუბარი იყო ჩაწერილი?***

– ისეთი არაფერი. თვითმმართველობის არჩევნებზე იყო საუბარი. ჩემს მეგობრებს ვეუბნებოდი, მაქსიმალური მობილიზება გააკეთეთ, რომ ამ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ არ გაიმარჯვოს.

იქვე მივაყოლე, რომ ეს არის ივანიშვილის მართვის სტილი, მაგრამ არანაირი ჩაწერის არ მეშინია და არც მაშინ შემშინებია, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 თვეში რომ დამემუქრა. ეს ფაქტი ფარული მოსმენების და თვალთვალის თემამ გადაფარა.

ახლაც გეუბნებით, იმ ქვეყანაში, სადაც პროკურატურას ოთარ ფარცხალაძე მართავს, შედეგი არ დადგება. შედეგი დადგება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. გაიგეთ, ხალხო, ივანიშვილის აზროვნება არის კრიმინალური. სხვა რა ახსნა აქვს იმას, რომ პრემიერის პოსტზე მყოფმა დაურეკა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს და უთხრა, რომ მას ქუჩაში შეიძლება რაღაც მოუვიდეს.

ეს საკმაოდ სერიოზული გაფრთხილება იყო, როცა ამას გეუბნებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ან უნდა დაგხვრიტონ, ანდა გაგიტაცონ და სარდაფში ჩაგიყვანონ. ესაა ივანიშვილის მმართველობის სტილი.

საერთოდ არ გამკვირვებია, ფარცხალაძის და ყიფიანის ამბავი რომ მოვისმინე. სარდაფის სურნელი მე ჯერ კიდევ 2013 წელს ვიგრძენი.

***– მაგრამ თქვენ არ მიუსარდაფებიხართ.***

– ეს იმიტომ, რომ ჩემი ხასიათი იცოდნენ. ამაზე აუცილებლად ვიყვირებდი,

***– სხვა დეპუტატებსაც ხომ არ ემუქრებოდა ივანიშვილი?***

– ძალიან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ივანიშვილი სხვა მაღალი თანამდებობის პირებსაც ემუქრებოდა. პარლამენტში არაერთი მწვავე განცხადება მაქვს გაკეთებული, მედიას ძალიან მწვავე ინტერვიუებს ვაძლევდი. ჩემი განცხადებები მმართველი პარტიისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

ამის მიუხედავად, ჩემთან მოდიოდნენ უმრავლესობის დეპუტატები და მეუბნებოდნენ, თქვენ გაიხარეთ, ბატონო მურმან, ჩვენს გულში იჯექით, ივანიშვილი არის არამზადა და მას აქვს კრიმინალური აზროვნება. ისინი მე გამბედაობას მიწონებდნენ.

***– ის პირები, რომლებიც გეუბნებოდნენ, რომ ივანიშვილი არის არამზადა, ახლაც პარლამენტის წევრები არიან?***

– ზოგი არის, ზოგი აღარ არის. ვინც ძალიან დაიმონა თავი, ის მეორე ვადით გახდა პარლამენტის წევრი, ოდნავ ურჩი ვინც იყო, მეორედ აღარ ჩაწერეს სიაში.

ქვეყანას მონები ვერ ააშენებენ, ქვეყანას იდეალისტები და პრინციპული ადამიანები სჭირდება, თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლია.

სააკაშვილის დროს ხელისუფლებას ჰქონდა გადამეტებული ძალაუფლება და ამის გამო ვებრძოდით მას. ნაციონალები სწორად შევცვალეთ, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ, ჩამოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები. ყველაფერი ერთ ოლიგარქზეა ჩამოკიდებული. ქვეყანაში არიან ბანდფორმირებები და კაცმა არ იცის, როდის ამოქმედდებიან ისინი სარდაფებში.

როგორც 2012 წელს დავშალეთ ნაციონალური მოძრაობა, ისე უნდა დაშალოს ახლა ოპოზიციამ „ქართული ოცნება“. საერთოდ ერთი რამე იცოდეთ, რომელ ხელისუფლებასაც ოპოზიციაში ჩავუდექი, ყველა ხელისუფლება დასრულდა. ასე იქნება ახლაც.

# მაია ცქიტიშვილი: „პრეზიდენტს არ აქვს უფლებამოსილება, მთავრობის სხდომა მოიწვიოს“



– პრეზიდენტს არ აქვს უფლებამოსილება, რომ მთავრობის სხდომა მოიწვიოს. პრეზიდენტმა შეიძლება გამოთქვას სურვილი და იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ეს არის მისი, როგორც მოქალაქის და პოლიტიკოსის სურვილი, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის საგანგებო სხდომის გამართვის მოთხოვნასთან დაკავშირებით განაცხადა. ცქიტიშვილის თქმით, მთავრობის სხდომების ჩატარება განსაზღვრულია მთავრობის რეგლამენტით და პრეზიდენტს კანონით არ აქვს მინიჭებული ეს უფლება.

– ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ წარსულშიც არაერთხელ გვქონია საუბარი. მთავრობის სხდომების ჩატარება განსაზღვრულია მთავრობის რეგლამენტით, პრეზიდენტს არ აქვს უფლებამოსილება, რომ მოიწვიოს მთავრობის სხდომება. პრეზიდენტმა შეიძლება გამოთქვას სურვილი და იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ეს არის მისი, როგორც მოქალაქის და პოლიტიკოსის სურვილი. როგორც პრეზიდენტს მას არ აქვს კანონით მინიჭებული უფლება, რომ მიმართოს პრემიერს მთავრობის სხდომის მოწვევის მიზნით, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

ვიცე-პრემიერის თქმით, პრეზიდენტს, მის ადმინისტრაციას, მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად, უფლება აქვს დაესწროს მთავრობის სხდომას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტის ადმინისტრაციას მთავრობის სხდომაზე წარმოდგენილი აქვს კონკრეტული საკითხი, რომლის განხილვაც არის მთავრობის კომპეტენცია.

– შესაბამისად, პრეზიდენტის ეს განცხადება კვლავ ცოტა აცდენილია იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მთავრობის სხდომას აქვს რეგლამენტით გათვალისწინებული, – აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

# ალეკო ელისაშვილი: „ესენი უნდა გავყაროთ!“

## „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია“

ნონა ცაბაძე

„ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ალეკო ელისაშვილი აფასებს.

***– ალეკო, როგორია თქვენი შეფასებები იმასთან დაკავშირებით რაც ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ხდება?***

– „ოცნების“ ხელისუფლება არის აბსოლუტურად გაკოტრებული! მეშვიდე წელი დაიწყო მათი მმართველობის და რა მივიღეთ ამ ხნის განმავლობაში?! მივიღეთ ჩინოვნიკები, რომლებიც დახეული წინდებით და დახეული ჯიბეებით მივიდნენ ხელისუფლებაში და დღეს არიან მილიონერები! სასახლეებს და გოიმურ „დვარეცებს“ იშენებენ! კიდევ აქეთ გატყუებენ, რომ დანაზოგით აიშენეს. დანაზოგით არა ის, რა დანაზოგი? ხალხი ჭაპანწყვეტაშია და ესენი მილიონერები გახდნენ!

გუშინ ერთი უტიფარი მეჯდა გვერდით ტელევიზიაში და მიმტკიცებდა, ჯიპებით სად დადის მთავრობაო. გეგონება სხვა საქართველოზე მელაპარაკებოდეს. გეგონება მე ვიყავი, რომ იძახდნენ, შავ ჯიპებს აღარ ვიყიდით, თეთრ ჯიპებს ვიყიდითო. ხომ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, თქვენს ჯიბეზე იგრძნობთ მეოთხე წელს, რაც მოხდება ქვეყანაშიო.

***– ხომ ვიგრძენით?***

– დიახ, ჩემს ჯიბეზე ვგრძობ ნამდვილად, რაც ხდება ჩემს თავს. თვიდან თვემდე მიძვირდება ბინის კრედიტი, ყოველ ჯერზე. დღეს არის 2,68 კურსი. თვიდან თვემდე ჩემი ჯიბიდან უფრო მეტი ამოდის. ლარის კურსი უფასურდება და ქვეყანაში ეკონომიკა არ არის და ქვეყანა არ არის საერთოდ! მეც ვიგრძენი ჩემს ჯიბეზე, რაც ხდება ჩვენს თავს და იგრძნო მთელმა საქართველომ. გალატაკდა ყველა.

რა, ხალხმა თვითონ არ იცის, რა უწყვია მაცივარში და რა უდევს ჯიბეში?! გაცილებით ღატაკია ქვეყანა, ვიდრე იყო 2012 წელს! და გაცილებით მდიდარი ჩინოვნიკები გვყავს, ვიდრე იყო 2012 წელს! აი, ეს რის დღევანდელი რეალობა! რა გამოდის? ხალხის ხარჯზე, ჩვენი ძარცვის ხარჯზე გაზულუქდნენ და გამდიდრდნენ ეს ტიპები. ესენი არიან გასაყრელები და ეს არის ერთმნიშვნელოვანი!

***– ალეკო, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე დაიწყო აქტიურად საუბარი, შესაძლებელია ეს?***

– ეს არის გარდაუვალი ამბავი! ამას ყველა გრძნობს. ხალხი უკვე ისეა, რომ პატარა მიზეზზე გამოვარდება და წალეკავს ამ ხელისუფლებას. ოდნავ მაინც ჭკუა თუ აქვთ, თვითონ უნდა იხვეწებოდნენ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დავნიშნოთო! ხელისუფლება, რომელიც აცდენილია ხალხს და ხალხის ინტერესებს, რომელიც ძალადობს ხალხზე, ძარცვავს ხალხს, არ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობით იყოს პარლამენტში წარმოდგენილი!



შესაბამისად, პარლამენტი უნდა იყოს ხალხის დამოკიდებულების ანარეკლი! ამიტომ თვითონ უნდა გვეხვეწებოდნენ, ვადამდელი დავნიშნოთო. ვიმეორებ, ვადამდელი არჩევნები არის გარდაუვალი!

***– ძალიან დაემსგავსნენ წინა ხელისუფლებას?***

– ასეა. რა, შვილმკვდარი მამა არ დგას ქუჩაში, რომელიც სამართალს ითხოვს?! პროკურატურა არ არის, რომელიც თვალში ნაცარს გვაყრის?! პროკურატურა არ არის, მტკიცებულებებს რომ აყალბებს და ჩანაწერებს რომ დგამს და ინსცენირებას რომ აკეთებს და ფაბრიკაციითაა დაკავებული?!

***– რა იყო ის, რაც პროკურატურამ შემოგვთავაზა, დადგმული სპექტაკლი?***

– „ცირკაჩობა“ იყო! აი, რა იყო. უნიჭობა! თან ამ დადგმასაც ხომ ნიჭი უნდა, ეს ოხერი, არა! გულახდილად ვაღიაროთ, რომ სააკაშვილი ასეთ მამაძაღლობებში გაცილებით ნიჭიერი იყო. ესენი იგივეს აკეთებენ, ოღონდ უნიჭოდ.

ისიც მიუღებელი იყო და ესეც მიუღებელია, მაგრამ მე ნიჭიერებაზე ვლაპარაკობ. ვიქტორ ჯაფარიძე, რომელიც ორ სიტყვას ვერ აბამს ერთმანეთზე, უცბად რომ დადგა და დიმიტრი ყიფიანივით დაიწყო ლაპარაკი იმ ჩანაწერში, ჩვენ ორონსნები ხომ არა ვართ, არა?! ამ ჩანაწერების ნახვის და გაანალიზების მეტი რა გვიკეთებია მთელი 25 წელია.

***– ანუ დადგმულია?***

– ეს რომ დადგა პროკურატურამ, ამას რად უნდა ფილოსოფია?! და პროკურატურა რომაა ამით დაკავებული, ეს არის უბედურება. თან უნდათ, რომ ჩაგვთვალონ ბრიყვებად.

წარმოიდგინეთ, რა სასაცილო ვერსიაა. ვთქვათ, ჩვენ გვჯერა პროკურატურის, ლევან ყიფიანის და ვიქტორ ჯაფარიძის. დავუშვათ, რომ აბსოლუტურად ვენდობით ამ ხალხს და რას გვეუბნებიან ისინი? ლევან ყიფიანი ამბობს, ვიღაც ბიზნესმენთან ერთად ვიჯექიო, ზაზა ოქუაშვილთანო და გადავწყვიტე, რომ ტყუილი ჩანაწერები გაგვეკეთებინა და მოგვეტყუებინა რაღაცებიო. ეს ხომ თქვა ლევან ყიფიანმა?! ვიჯექით და ვწერდით ამასო. ის ჩანაწერები, რაც გამოქვეყნდა, ჩვენი გაკეთებულიაო.

***– რამდენიმე ვერსიად ჩავწერეთო.***

– დიახ. იმ დროს, როცა ეს გააკეთა, ის იყო ახალი წასული სპორტის მინისტრობიდან და იყო რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ჰქონდა უზარმაზარი ხელფასი. ანუ ხალხის ფულიდან.

გავყვეთ ამათ ლოგიკას, რას ამბობს ვიქტორ ჯაფარიძე, რომელიც არის პარლამენტის წევრი და რომელიც უზარმაზარ ხელფასს იღებს ჩვენი ფულით. ეს კაცი ამბობს, გადავწყვიტე, მირზა სუბელიანთან ერთად ტყუილი ჩანაწერები გაგვეკეთებინა ციხეშიო. თურმე შევიდა ივლისში, მერე შევიდა ოქტომბერში და წერდა დეპუტატი, პარლამენტის წევრი, თურმე აკეთებდა ტყუილ ჩანაწერებს!

აი, ამათი ლოგიკითაც რომ გავყვეთ, ეს რა არის?! ვთქვათ, გვჯერა ლევან ყიფიანისა და ვიქტორ ჯაფარიძის, რითი არიან ტიპები დაკავებული?!

***– სახელმწიფო მოხელეები.***

– სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ხალხისგან უზარმაზარ ფულს იღებენ, თურმე დგანან და ტყუილ ჩანაწერებს აკეთებენ, გესმით?! თითქოს ამ ქვეყანაში სხვა დარდი არ არის და პრობლემა არ არის, მარტო უნდა იჯდე და ტყუილი ჩანაწერები აკეთო. ამათი ლოგიკაც რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თუმცა ვის სჯერა ლევან ყიფიანის ბოდვის. ლევან ყიფიანი კამერებს რომ ელაპარაკებოდა, ფარცხალაძე ელანდებოდა, თვალებზე ეწერა.

***– ჯაფარიძე?***

– ვიქტორ ჯაფარიძე თვითონ გაიხლართა თავის ტყუილებში. შესაბამისად, შემოგვაჩეჩეს ძალიან უნიჭო ფაბრიკაცია და ამას გადაყვებიან ისინი! ხომ ყველა ვხედავთ, რომ როგორც 2012 წელს ჩიხში მოიქცია თავი სააკაშვილმა იმით, რომ გირგვლიანის საქმე არ გამოიძია, ან როგორ გამოიძიებდა, თავის თავს და თავის ჩინოვნიკებს ხომ არ დაიჭერდა, არა?! აი, ასევე მოიქცია ჩიხში თავი „ქართულმა ოცნებამ“. ამიტომ ესენი უნდა გავუშვათ.

***– ვერ გამოიძიებენ?***

– გამორიცხულია, ესენი რას გამოიძიებენ. როგორ შეიძლება ფარცხალაძის საქმე ამათმა გამოიძიონ. თვითონ პროკურატურა აყალბებს მტკიცებულებებს.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და ნორმალურმა ხალხმა ავიღოთ ჩვენს თავზე პასუხისმგებლობა. ნაციონალურ მოძრაობად და „ქართულ ოცნებად“ არ იყოფა ეს საქართველო მხოლოდ! ამ ქვეყანაში ცხოვრობს ხალხი, რომლისთვისაც სულ ერთი არ არის, რა მოხდება აქ. დავდგეთ ჩვენს თავზე მაღლა, მოვინდომოთ და ესენი გავყაროთ და ნორმალური ხალხი მოვიყვანოთ ამ ქვეყნის სათავეში!

***– ალეკო, საუბარია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ვერ მოესწრება, ცოტა დროაო. როდის უნდა ჩატარდეს?***

– ცოტა დროა ვისთვის? მაგათთვის ნამდვილად არის ცოტა დრო. ქვეყნისთვის? ქვეყანა ისედაც კრიზისში და კატასტროფის პირას არის. რას ჰქვია ცოტა დროა! მე ვფიქრობ, რომ ესენი გაზაფხულს იქით ვერ გაატანენ. ახლაც მაქსიმალურად ეცდებიან, რომ გააყალბონ ეს არჩევნები და იძალადებენ ხალხზე და ამის მერე ძალიან დიდ შარში გაეხვევიან.

***– ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბება სიტუაცია?***

– ჩემი აზრით, ძალიან დაიძაბება. იმიტომ, რომ მე რასაც ვუყურებ, უბნებში დადიან, აგროვებენ ძველ ბიჭებს, ნარკომანებს, პრობაციონერებს, დაატარებენ ამ შტაბში, მიდის რეგისტრაცია და მთელი ამბები.

სუსი არის დარაზმული არჩევნების ჩასატარებლად. სუსი როგორც ატარებს არჩევნებს, კი ვიცით. ამ არჩევნების მერე ძალიან დაიძაბება სიტუაცია და ამათ მოუწევთ მაქსიმუმ გაზაფხულზე არჩევნების ჩატარება. პარლამენტი უნდა იყოს ხალხის ნების და დამოკიდებულების ანარეკლი!

***– ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნაციონალური მოძრაობა საშიშ ძალად ჩამოყალიბდა, გაძლიერდა, რეაბილიტაცია გაიარა და მათი მობრუნება ხელისუფლებაში შესაძლოა რეალობად იქცეს. მათ საპირწონე ძალას თუ ხედავთ ოპოზიციაში?***

– მე ვხედავ დუღილს, რომელიც წარმოქმნის ახალ ძალას. სად იწყება „ქართული ოცნება“ და სად მთავრდება ნაციონალური მოძრაობა, უკვე რთული გასაგებია. ვინც მაშინ იყო და საშინელებებს სჩადიოდა, დღესაც იგივე ხალხია გინდ პროკურატურაში და გინდ ძალოვან სამინისტროებში. ან ზარდიაშვილები და მურუსიძეები ვინ იყვნენ და ვინ არიან?!

შესაბამისად, ეს ქვეყანა არ არის მარტო ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ექსპერტები ამის იქით თუ ვერ იყურებიან, მაშინ ძალიან ცუდი ხედვა ჰქონიათ. მე ვხედავ დუღილს, რომელიც წარმოშობს ახალ ძალას და აბსოლუტურად სხვა რეალობა იქნება. ამაში ვარ დარწმუნებული.

# „ვერ გავიგე, ქვეყანაა თუ კინოსტუდია?!“

## ვახტანგ ძაბირაძე: „არჩევნების პირველივე ტურში დასრულება ქვეყნისთვის კატასტროფა იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პრემიერს მთავრობის სხდომის მოწვევა შესთავაზა და მასზე დასწრების სურვილი გამოთქვა, სადაც ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე უნდა იყოს მსჯელობა. მეორე მხრივ უკვე საუბარია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე. როგორ შეიძლება მოვლენები განიმუხტოს?***

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია, თუ გვინდა სიტუაცია განიმუხტოს და შეიცვალოს. თუმცა, აქ საუბარია, როდის?! მე ვფიქრობ, რომ ახლა არ უნდა დაინიშნოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები. ალბათ გაზაფხულზე ყველაზე კარგი დრო იქნებოდა. ახლა რომც ჩაცხრეს ეს ვითარება, უკვალოდ მაინც არ ჩაივლის, ხალხში მაინც დაილექება.

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ახალი ტალღის აგორებისგან თავის დაცვა მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით შეუძლია. თუ ახალი ტალღა აგორდება, შემდეგ უკვე ძალიან რთული იქნება ამ პროცესების მართვა. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ გაზაფხულისთვის ჯობია ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

რაც შეეხება პრეზიდენტის ამ მოთხოვნას, მას კონსტიტუციით ამის სრული უფლება აქვს და ის იყენებს ამ უფლებას. ის ასე უყურებს მოვლენებს, პრემიერი კი – სხვაგვარად. სამწუხაროდ, კონფლიქტი ყოველთვის იყო ხელისუფლების ამ შტოებს შორის და ეს ახალი არ არის. მათ შორის კონფლიქტია მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა მარგველაშვილი შერისხა. კვირიკაშვილი ცდილობდა, ოდნავ მაინც შეემცირებინა ეს კონფლიქტი და თუ ის ტონს დაწევდა, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო „მოწოდების სიმაღლეზე“.

მიუხედავად არსებული ვითარებისა, ისეთი მდგომარეობა არ არის, რომ პრეზიდენტს საგანგებო სიტუაციის გამოცხადება დასჭირდეს ქვეყანაში. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ეს სხდომა რამეს გადაწყვეტს. ერთადერთი, ახლა რაც ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, ეს არის არჩევნები მშვიდ და სტაბილურ გარემოში ჩატარდეს და აქ არ იყოს არავითარი კითხვის ნიშანი.

***– თქვენ თქვით, რომ საქართველოში არჩევნების ბედი ბოლო ორ კვირაში წყდება. ამ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია თუ კიდევ შეიძლება რამემ იქონიოს გავლენა? მაგალითად, ნაციონალურმა მოძრაობამ ბევრად უფრო სკანდალური ჩანაწერები დააანონსა.***

– მეორე ტური აუცილებლად იქნება და ეს უკვე გადაწყვეტილია. თუ დააკვირდით, სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კლიპში უკვე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, ეს უკვე არის სერიოზული სიგნალი.



***– რისი?***

– რომ ხელისუფლებამ იცის, მძიმე ვითარებაშია. როგორც ჩანს, მათ ჩაატარეს შიდა კვლევები და ამ კვლევებზე მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები ვერ მიიღეს. ამიტომ, საჭირო გახდა მძიმე არტილერიის ჩართვა. მძიმე არტილერია კი ბიძინა ივანიშვილია.

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ გამოჩენილა. მაშინ ივანიშვილი თვლიდა, რომ ის საჭირო არ იყო და ამ ბრძოლას თავს გაართმევდა კახა კალაძე. ახლა ასე არ თვლის და პირადად ერთვება ამ ყველაფერში, მაგრამ ეს რა შედეგს მოიტანს, ვერ გეტყვით. დღეის მდგომარეობით გარდაუვლად მეორე ტური ინიშნება. პირველ ტურში რომ ვინმემ გაიმარჯვოს, ეს ღმერთმა ნუ ქნას.

***– საზოგადოების განწყობებიდან გამომდინარე ამბობთ?***

– რა თქმა უნდა! ეს იქნება ქვეყნისთვის კატასტროფა. დღესდღეობით არავინ არ დაიჯერებს, რომ პირველ ტურში რომელიმე კანდიდატმა გაიმარჯვა, ვინც არ უნდა იყოს ეს კანდიდატი. ეს იქნება სრულიად დაუჯერებელი და წარმოუდგენელი. ამიტომ, ხელისუფლებას უნდა ეყოს ტვინი, რომ არჩევნები ნორმალურად ჩაატაროს, არ უნდა გაბედოს რაიმე ხელოვნური ჩარევა და სტაბილური გარემო შეინარჩუნოს.

***– რაც შეეხება დაანონსებულ ჩანაწერებს...***

– არ ვიცით, რას გამოაქვეყნებენ და როგორი იქნება ამაზე მოსახლეობის რეაქცია. გულწრფელად რომ გითხრათ, მგონია, რომ ამ ჩანაწერებზე უფრო მეტად საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ თავად ზურაბიშვილმა იმუშავა, მას არც ერთი შეხვედრა არ ჩაუგდია, რომ არ დაეზაფრა საზოგადოება და არა მხოლოდ მისი მოწინააღმდეგეები, არამედ მომხრეებიც კი.

თუმცა, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა სიმძაფრის ფარულ აუდიოჩანაწერებზე თუ კადრებზეა საუბარი. მიუხედავად ამისა, მე მაინც მგონია, რომ პრობლემა ისაა, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არის ასოცირებული ეს გავრცელებული ჩანაწერები. ნაციონალური მოძრაობის მიერ გავრცელებული, ბაჯაღლოც რომ იყოს, მას ხალხი მაინც ეჭვის თვალით უყურებს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გია ნოდია: „პატარკაციშვილის სიკვდილზე საქმის აღძვრა სხვა თემების გადაფარვის მცდელობაა“

**საქართველოს პრეზიდენტის შეთავაზებას, რომ მთავრობის მეთაურმა სკანდალურ ფარულ ჩანაწერებზე მთავრობის სხდომა მოიწვიოს, სადაც მონაწილეობის მიღებას გიორგი მარგველაშვილიც ითხოვს, პრემიერი გამოეხმაურა. მან პრაქტიკულად უარყო პრეზიდენტის შემოთავაზება და განაცხადა:**

**— საქართველოში მთავრობის სხდომას ვატარებთ ჩვეულებრივი განრიგით და ჩვეულებრივი რეჟიმით. ბუნებრივია, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე სასაუბროდ. რაც შეეხება მთავრობაზე განსახილველ საკითხებს, ამას არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ამის შესახებ განცხადებას მთავრობის ადმინისტრაცია აუცილებლად გააკეთებს, — თქვა მამუკა ბახტაძემ.**

**აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ გია ნოდიას ესაუბრა:**



იაგო ნაცვლიშვილი

***— ბატონო გია, პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს შესთავაზა მთავრობის სხდომის მოწვევა ჩანაწერების თემაზე, სადაც მონაწილეობა პრეზიდენტმაც მოითხოვა. „ოცნებამ“ უარი უთხრა. რა შეფასებას გააკეთებთ?***

— გასაგებია, რომ „ოცნებას“ უნდა ეს სკანდალური ჩანაწერები ჩათვალოს არასერიოზულად და ცდილობს, რომ მას არ მიენიჭოს რაიმე მნიშვნელობა. ეს არის მისი სტრატეგია. სტრატეგია, რომ ეს არის ღიმილის მომგვრელი და სერიოზულად არ უნდა განვიხილოთ. ეს არის დადგმული და ა. შ. ეს არის მმართველი გუნდის გზავნილი. ამ გზავნილიდან გამომდინარე ლოგიკურია ის, რასაც ამბობენ.

თუ არასერიოზულია, რა საჭიროა, მთავრობის სხდომა მიეძღვნას ამ საკითხს. მით უმეტეს, პრეზიდენტის მონაწილეობით.

***— პრეზიდენტმა ხორავას ქუჩის ტრაგედიასა და გირგვლიანის საქმეზე პარალელები გაავლო, „ოცნებაში“ მწვავედ გამოეხმაურნენ ამ თემას და თქვეს, რომ ამ საქმეზე ტოლობის ნიშანი არ უნდა დაისვას.***

— „ოცნებაში“ მიიჩნევენ, რომ, მით უმეტეს, როგორ შეიძლება ეს საქმე გირგვლიანის საქმესთან იყოს შედარებული. ამ კონტექსტში მათი ეს რიტორიკა გასაგებია.

***— თქვენი შეფასებით, ხელისუფლება დღეს სირაქლემას პოზიციაში ხომ არ არის?***

— რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ასე გამოდის.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა თავისი პოზიციის გამოხატვა დააგვიანა? დიდხანს დუმდა.***

— რა თქმა უნდა. პრეზიდენტი ერთგვარად მილევად რეჟიმშია. ანუ, როგორც ჩანს, მან პრაქტიკულად ჩათვალა, რომ დამთავრდა მისი პრეზიდენტობა. ამის ნიშანი იყო ისიც, რომ მან პრაქტიკულად უარი თქვა უზენაესი სასამართლოს კანდიდატის დასახელებაზე. ეს იყო მისი მოვალეობა. გიორგი მარგველაშვილმა მისი, როგორც პრეზიდენტის, მოვალეობა არ შეასრულა.

არ არის მთლად გასაკვირი, რომ მან მიმდინარე მოვლენებზე რეაქცია დიდხანს არ გააკეთა. ის რეაქციაც, რაც გააკეთა, მთავრობის სხდომის მოთხოვნა და ა. შ., ეს ერთგვარად მოვალეობის მოხდა იყო. ხალხმა დაიწყო ლაპარაკი, რომ სად წავიდა პრეზიდენტი. მისი დაცინვა დაიწყო და ეს მისი პოზიცია აქედან გამომდინარეობდა. მას რაღაცა უნდა ეთქვა, რაღაცა უნდა გაეკეთებინა და ეს რაღაცა თქვა.

***— ანუ საზოგადოებრივი პროტესტის თუ დაცინვის პასუხი იყო?***

— რასაკვირველია.

***— საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების ასეთ პოზიციას რა პასუხი უნდა მოჰყვეს?***

— ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. ცხადია, ეს არის საარჩევნო პასუხი. ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხი, რაც საზოგადოებამ უნდა გასცეს, ეს არის არჩევნების შედეგი. არჩევნები მოახლოებულია. გასაგებია, რომ პრეზიდენტი ამ ქვეყანაში არ არის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი, მაგრამ ძალიან დიდი სიმბოლური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს.

ხალხს ეს ბერკეტი აქვს უახლოეს 2 კვირაში. გარდა ამისა, არსებობს პროტესტის სხვადასხვა საშუალებები. ამის გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ამგვარი პროტესტისთვის ხალხი განწყობილი არ არის.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხალხი არჩევნების შედეგს ელოდება და პროტესტის სხვა ფორმები შემდეგ იყოს გამოყენებული?***

— ხალხი თვითონ უნდა წავიდეს არჩევნებზე და თვითონ უნდა დააყენოს ის შედეგები, რა მოლოდინიც საზოგადოებაშია. მაგრამ, გასაგებია, რომ მოლოდინი ყველა მხრიდან არის ის, თუ რამდენად მოახდენს ეს სკანდალები გავლენას იმ განწყობაზე, რომლითაც ისინი წავლენ არჩევნებზე.

***— თუ „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებს, ხელისუფლების ჩამოშლის ეტაპი დაიწყება?***

— დიახ, ნამდვილად ასე იქნება აღქმული. გასაგებია, რომ თვითონ პრეზიდენტს ბევრი ბერკეტი არ აქვს, მაგრამ მთავარია, რომ ხალხის აღქმა ასეთი იქნება, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისი.

***— პატარკაციშვილის გარდაცვალებაზე პროკურატურამ საქმე აღძრა. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ცდილობს, როგორმე გადაფაროს ჩანაწერების თემა?***

— რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში სხვა შეფასების გაკეთება ძალიან რთულია, რომ ამ მომენტში სხვა გარემოება გამოიკვეთა. პატარკაციშვილი გარდაიცვალა დიდ ბრიტანეთში და იქ არავინ დავობს და არავის მოსდის თავში აზრად, რომ მისი სიკვდილი არაბუნებრივი მიზეზებით ახსნან და უცბად საქართველოს ხელისუფლება ასეთ საქმეს იწყებს.

ეს ნიშნავს, რომ მმართველ გუნდს გადაფარვა უნდა იმ თემების, რაც საზოგადოებაშია.

***— ნიკა გვარამიამაც დაწერა პოსტი სოციალურ ქსელში. მან თქვა, რომ არ იცის, მოკლეს თუ არა პატარკაციშვილი, მაგრამ თუ მოკლეს, ამაში ფულს გადაიხდიდა ბიძინა ივანიშვილი.***

— ეს არ ვიცი. არც ნიკა გვარამიას პოსტი არ მინახავს. ამას არც აქვს მნიშვნელობა. მთავარია ხელისუფლების ქმედება. მე მგონია, რომ პატარკაციშვილი გარდაიცვალა იმით, რასაც ამბობენ. ანუ რაც იყო ოფიციალური ვერსია — გულის შეტევა თუ რაც იყო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არა მგონია, რომ ბრიტანეთის პოლიციას ეს ასე ადვილად გამოეპარებოდა.

***— თუ ხელისუფლება წავა სხვა გზით, იქნება ეს გაყალბება თუ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, ეს კიდევ უფრო მძიმე შედეგს ხომ არ მოუტანს ხელისუფლებას?***

— ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე წასულია და ყოველთვის მიდიოდა. აშკარად თვალსაჩინო გაყალბებაზე რომ წავიდეს, ეს ხელისუფლებისთვის ძალიან სახიფათოა. არა მარტო ხელისუფლებისთვის, არამედ ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის. ეს ხელისუფლების ლეგიტიმურობას პრაქტიკულად ეჭვის ქვეშ დააყენებს.

კონკრეტულად რა ნაბიჯები მოჰყვება ამას, არ ვიცი, მაგრამ არის ხიფათი, რომ დესტაბილიზაცია მოჰყვება ამას.

***— რევოლუციური სცენარის მოლოდინი გაქვთ?***

— ყოველ შემთხვევაში, ასეთი სცენარის მცდელობა იქნება, მაგრამ ამას ასეთი სცენარიც რომ არ მოჰყვეს და რევოლუციაც რომ არ მოხდეს, ეს მაინც წყალს შეუყენებს ხელისუფლების ლეგიტიმურობას და მთლიანად ქვეყნის იმიჯზე ძალიან მძიმე გავლენას მოახდენს.

***— იქნება მეორე ტური?***

მეორე ტური ნამდვილად უნდა იყოს. ძალიან ძნელად წარმომიდგენია, რომ მეორე ტური არ იყოს. მაგრამ, მთავარი საკითხი ეს არ არის. მთავარია, როგორ ჩატარდება არჩევნები. რა შედეგი ექნება და რამდენად ლეგიტიმურად ჩათვლიან იმ შედეგს, რა შედეგიც არ უნდა დადგეს. ვგულისხმობ ხელისუფლების საწინააღმდეგო მხარეებს.

— ხელისუფლების პოზიციიდან გამომდინარე რა მოლოდინი გაქვთ?

— ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გაიმარჯვოს. რამდენად შორს წავა, ეგ არ ვიცით. არის საფრთხე და მოლოდინი იმისა, რომ ხელისუფლება შეიძლება უფრო მეტ უკანონობაზე წავიდეს, ვიდრე აქამდე მიდიოდა.

# ბინები 7-დან 30%-მდე გაძვირდება

**მთავრობის მიერ მიღებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ რეგლამენტი“, რომლის მიხედვითაც მშენებლებს ხმაურის რეგულირება, ენერგოეფექტური და გაცილებით უფრო მდგრადი მასალების გამოყენება ევალებათ, ბინების ფასებს 7-დან 30%-მდე გააძვირებს. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ დეველოპერებმა განუცხადეს.**

მათი თქმით, მშენებლებს ენერგოეფექტური მასალების გამოყენება ნაწილობრივ უკვე დაწყებული აქვთ, თუმცა როდესაც საუბარია ყველა მშენებლობაზე ენეროეფექტური მასალების სავალდებულო გამოყენებაზე, ხმის რეგულირებასა და ისეთ სამშენებლო მასალებზე, რომლის დემონტაჟის შემდეგ განმეორებით გამოყენებას ან გადამუშავებას უნდა ექვემდებარებოდეს, ეს მშენებლობის ხარჯებს გაზრდის, რაც პირდაპირ აისახება უძრავი ქონების ფასზე.

როგორც ცნობილია, 15 ნოემბრიდან „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ ამოქმედდება. რეგლამენტში გაწერილია ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც მშენებლებს სამშენებლო ობიექტებზე მოუწევთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ამ რეგლამენტის ამოქმედებით შემოვა, ეს არის სამშენებლო პროცესებით გამოწვეული ხმაურის რეგულირება. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, სამშენებლო ობიექტები უნდა დაპროექტდეს და აშენდეს იმგვარად, რომ მობინადრეების ან მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს, მათ შორის, ძილის მოსვენების და მუშაობის პირობებს ხმაურისგან საფრთხე არ უნდა ექმნებოდეს.

ამასთან, როგორც ტექნიკურ რეგლამენტშია აღნიშნული, სამშენებლო სამუშაოები უნდა იყოს ენერგოეფექტური, მათი მშენებლობისა და დემონტაჟის დროს შეძლებისდაგვარად მცირე ენერგია უნდა გამოიყენებოდეს.

— სამშენებლო ობიექტი უნდა დაპროექტდეს და აშენდეს იმგვარად, რომ ექსპლუატაციის პერიოდში არ წარმოშობდეს ისეთ მიუღებელ რისკებსა და საფრთხეებს როგორებიცაა: დაცურება, დაცემა, შეჯახება, დამწვრობა, ელექტროობისგან მიღებული დაზიანება, ასევე აფეთქებისგან მიღებული დაზიანება და ასევე ძარცვასთან დაკავშირებული რისკები. ამასთან, სამშენებლო ობიექტები უნდა უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამშენებლო ობიექტებზე შეღწევადობასა და სარგებლობას.

სამშენებლო ობიექტები და მათი გათბობის, კონდიცირების, განათებისა და ვენტილაციის მოწყობილობები უნდა დაპროექტდეს და აშენდეს იმგვარად, რომ მობინადრეების რაოდენობისა და ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ენერგიის მოცულობა იყოს მინიმალური. სამშენებლო ობიექტების დაპროექტება, აშენება და დემონტაჟი უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენების პირობებში, კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს: ა) დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო ობიექტების ნაწილებისა და მასალების განმეორებით გამოყენება ან გადამუშავება; ბ) სამშენებლო ობიექტების მდგრადობის შენარჩუნება; გ) გარემოსთან თავსებადი ნედლეულის და მეორადი მასალების სამშენებლო ობიექტებში გამოყენება, — აღნიშნულია რეგლამენტში.

სამშენებლო კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური ამბობს, რომ ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ცვლილებები კარგია, თუმცა ეს ხარჯებს გაზრდის, შესაბამისად, ბინების ფასი 20-30%-ით მოიმატებს.



— ენერგოეფექტური სახლები და ინოვაციური მასალების გამოყენება, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ თუ ეს სავალდებულო იქნება, ერთმნიშვნელოვნად გამოიწვევს უძრავი ქონების გაძვირებას.

ჩვენც ვეცდებით, რომ გადავეწყოთ ახალ სტანდარტებზე. თუმცა გარკვეულწილად ახლაც ვახორციელებთ ენერგოეფექტური სახლების მშენებლობას. ძირითადად, ეს არის გარე ფასადების სამუშაოები, მითუმეტეს ისეთ საკურორტო ტერიტორიებზე, როგორიცაა გუდაური. სადაც ყინვა და ნალექია, ეს აუცილებელიცაა. რაც შეეხება თბილისს, თუ ეს სავალდებულო იქნება ალბათ, მოუწევს ყველა კომპანიას ამ სტანდარტზე გადასვლა. ვინც ვერ შეძლებს, თავს დაანებებს მშენებლობას. მაგრამ, ვფიქრობ ხარისხი გაუმჯობესდება, — აცხადებს მალხაზ კუნელაური.

რაც შეეხება, ხმაურის რეგულირებასა და ისეთ სამშენებლო მასალებს, რომელიც განმეორებით გამოყენების ან გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა, „რედკოს“ პროექტების მენეჯერი ამბობს, რომ ნებისმიერი მსგავსი ცვლილება, უძრავი ქონების ფასზე აისახება.

— ყველა ასეთი მოცემულობა ფასს ერთმნიშვნელოვნად გააძვირებს. ყველა ახალი სტანდარტი და თანამედროვე, თბოეფექტური და ინოვაციური პროდუქტი გაცილებით ძვირია. დაახლოებით რომ გითხრათ, რასაც გუდაურში ვაკეთებთ, ფასადების დათბუნება ორჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე სტანდარტული. ვერ ვიტყვი, რომ ბინების ფასსაც გააორმაგებს, რადგან ფასადის ნაწილი სამშენებლო სამუშაოების მხოლოდ ნაწილი, თუმცა ამ კომპონენტის ფასის მატება, საერთო პროდუქტის ფასზე აისახება და დაახლოებით, 20-30%-ით გაზრდის, — აცხადებს მალხაზ კუნელაური.

რეგულაციებით ხარისხის გაუმჯობესებაზე აკეთებს აქცენტს სამშენებლო კომპანია „ივერიონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელიც. თუმცა, ეს უძრავი ქონების ფასს რომ გაზრდის, არც ამას უარყოფს.

— ენერგოეფექტური მასალები მისაღებიც არის და მთელი მსოფლიო ასეთ მასალაზეა გადასული, თუმცა ფასზე ცვლილება იქნება. ხმაურის რეგულირება ცოტა რთული საკითხია, ისევე, როგორც მასალის ხელმეორედ გამოყენება. მაგალითად, როდესაც კორპუსის დემონტაჟი ხდება, „არმატურას“ ისედაც იყენებენ ხელმეორედ, მაგრამ ეს მიუღებელია და ასე არ უნდა ხდებოდეს. ასევე ხელმეორედ იყენებენ აგურსაც, მაგრამ ის გამოსადეგი და კარგი მასალაა. ბლოკს ხელმეორედ ვერ გამოიყენებ. ამიტომ, ეს ნაწილი ცოტა ბუნდოვანია. რა თქმა უნდა, ეს უძრავი ქონების ფასს გააძვირებს, მაგრამ ხარისხს აამაღლებს. ჩვენ რეგულაციების გარეშეც ვცდილობთ თბოეფექტურ და ინოვაციურ მასალებზე გადავიდეთ, რადგან მოთხოვნა ასეთ ბინებზეა. საერთო ჯამში, თუ ეს რეგულაციები სავალდებულო იქნება, ბინები სავარაუდოდ 7-10%-მდე გაძვირდება, — აცხადებს არჩილ ჯაყელი. BP

# გიორგი გაჩეჩილაძე: „მირზა სუბელიანს ძალოვან სტრუქტურებში არ უნდა ემუშავა“

**რატომ შეეპარა ეჭვი გიორგი გაჩეჩილაძეს „ომეგას“ ჩანაწერებში, რა კავშირი აქვს ოქუაშვილს იგორ გიორგაძესთან, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა?**

**პარლამენტის უმრავლესობის წევრი გიორგი გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთი საქართველოში სიტუაციის არევას ცდილობს, ფარული აუდიო ჩანაწერების მთელი სერიალები, დაუსაბუთებელი ბრალდებები ხელისუფლების მიმართ, რუსული ხაზის გამოვლინებაა და დამახასიათებელია რუსული პიარტექნოლოგიისთვის. რუსეთს უნდა დამუშავებული სქემების მეშვეობით საარჩევნო პერიოდში ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია მოახდინოს.**

**გიორგი გაჩეჩილაძე ასევე აცხადებს, რომ მარიხუანის კულტივაციის პროექტი, ფაქტობრივად, დაწუნებულია.**

გულიკო ბალაძე



„მე მარიხუანის წინააღმდეგი ვარ!“

***– ბატონო გიორგი, გარკვეული პროცესები მიდის ქვეყანაში. ყველაფერი თავის დროზე „ომეგას“ მფლობელის ჩანაწერების გამოქვეყნებით დაიწყო. თქვენ ეჭვი შეიტანეთ მის სისწორეში. რატომ შეგეპარათ ეჭვი?***

– წარმოდგენილი ჩანაწერები იმდენად თეთრი ძაფით იყო ნაკერი, რომ ეჭვი შემეპარა. ეჭვი გამიჩნდა, ჩანაწერი ხელოვნურად ხომ არ იყო შექმნილი, ვიფიქრე, სხვა მიზანი ხომ არ აქვთ-მეთქი. შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, ეს მართლაც ხელოვნურად დადგმული ჩანაწერი იყო გარკვეული ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე. ოქუაშვილს თავის საზღვარგარეთელ პარტნიორებთან რაღაც პრობლემები ჰქონია. ფაქტობრივად, ჩემი ეჭვები გამართლდა.

დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ასეთ მომენტებში ჩემი ინტუიცია მუშაობს. 90-იან წლებში ათასი რამ მაქვს ნანახი, ათასგვარი პოლიტიკური პროცესი მინახავს.

***– თქვენ მიუთითებდით იგორ გიორგაძესთან კავშირზე. რა კავშირი აქვს ოქუაშვილს იგორ გიორგაძესთან?***

– ეს პროცესი რომ დაიწყო და ჩანაწერები მოვისმინე, გონებაში ბევრი რამ ამომიტივტივდა. მწვანეთა პარტია 1988 წლიდან არსებობს, 1992 წლის პარლამენტშიც იყო. იმ დროიდან ყველას ყველაფერი გვახსოვს. ამიტომ ჩანაწერების მოსმენის შემდეგ გამახსენდა მაშინდელი ინტენსიური საუბრები უშიშროების მინისტრ იგორ გიორგაძესა და ოქუაშვილის ძალიან ახლო ურთიერთობაზე.

***– რა ურთიერთობაზე?***

– ისინი ერთად ეწეოდნენ სიგარეტის კონტრაბანდას. უფრო სწორად, იგორ გიორგაძე ოქუაშვილს მფარველობდა. ოქუაშვილი დადიოდა გიორგაძესთან. გიორგაძე ოქუაშვილის საშუალებით სიგარეტის კონტრაბანდას ახორციელებდა რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან საქართველოში ისე, რომ ამ სფეროში მონოპოლისტები იყვნენ. დიდი ფულიც იშოვეს.

ოქუაშვილი ასევე ახლოს იყო ასლან აბაშიძესთან. ოქუაშვილი აჭარაში რაღაც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „აღორძინების კავშირშიც“ შევიდა. ასლან აბაშიძეც და იგორ გიორგაძეც რუსეთში გაიქცნენ, დღეს ორივე რუსეთშია.

***– როდესაც ამ კონტექსტში ამ საკითხებზე საუბრობთ და ოქუაშვილის იგორ გიორგაძესა და ასლან აბაშიძესთან კავშირებს იხსენებთ, ამით რის თქმა გინდათ?***

– ვფიქრობ, საერთოდ, ახლა რაც ხდება, ის ფარული აუდიო ჩანაწერების მთელი სერიალები, დაუსაბუთებელი ბრალდებები ხელისუფლების მიმართ (ჩანაწერებში კითხვებია გაჟღერებული ვითომ დიალოგების დროს), რუსული ხაზის გამოვლინებაა. ეს არის დამახასიათებელი რუსული პიარტექნოლოგიისათვის. საზოგადოებამ იცის, რომ დაახლოებით ამგვარ პიარტექნოლოგიას იყენებდა რუსეთი აშშ-ში, როდესაც ტრამპის არჩევნებში ერეოდა.

***– თუმცა, ეს ყველაფერი შესანიშნავად გამოიყენა განსაკუთრებით ერთმა პარტიამ, რომლის ხელმძღვანელიც ამბობს, რომ საქართველო დამოუკიდებლობის 28-ე წლისთავზე „მაფიოზური დაჯგუფების“ ხელში აღმოჩნდა. რატომ მიეცა ამის თქმის საშუალება?***

– ეს ხომ სისულელეა? ჩანაწერების ავთენტურობა ხომ ეჭვის ქვეშ არის. პირველი ჩანაწერის არაავთენტურობა ბრიტანეთის ექსპერტიზამაც დაადასტურა და საქართველოს ექსპერტიზამაც, რომ არაავთენტურია. მეორე ჩანაწერზეც ბევრი ეჭვია, რომელიც ციხეშია გაკეთებული და გამოჩნდება, რასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, წინასაარჩევნო პერიოდში ჩანაწერების გამოქვეყნება გვიჩვენებს სერიოზულ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ჩარევასთან საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში. სამწუხაროდ, საზოგადოებამ არ იცის, რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ, რა კეთდება სინამდვილეში.

***– რა საფრთხეების წინაშე ვდგავართ?***

– საქართველომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან გაიძლიერა თავისი პოზიციები. განსაკუთრებით, 2012 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენ ევროკავშირის ასოცირებული წევრი გავხდით, უვიზო რეჟიმი მივიღეთ, ანუ ევროკავშირს ძალიან დავუახლოვდით. ფაქტობრივად, ერთი ნაბიჯი დაგვრჩა ევროკავშირში გაწევრიანებისთვის.

საქართველოს ტერიტორიაზე გაიხსნა ნატოს საწვრთნელი ბაზა. ნატოსთან ურთიერთობაში ძალიან დიდი სიახლოვე გამოიკვეთა. გარდა amisა, ჩვენ გავერთიანდით ევროკავშირის ენერგეტიკულ ერთობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენთან ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც აერთებს შუა აზიის ნავთობისა და გაზის რესურსებს, აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის რესურსებს ევროკავშირთან, ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან სერიოზულად ურტყამს რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს იგივე ევროკავშირის ტერიტორიაზე,

ნავთობსადენი და გაზსადენი გაყვანილია. მომავალი წლიდან ამას ემატება ახალი გაზსადენი, რომელიც, ფაქტობრივად, დამთავრებულია და ევროკავშირში უამრავი რაოდენობის (დაახლოებით 10 მილიარდ კუბურ მეტრზეა საუბარი) მიაწვდის ევროკავშირს საქართველოს გავლით.

შესაძლებლობა გაიხსნა გაზის რესურსებით ყველაზე მდიდარი ქვეყნის თურქმენეთის რესურსების კასპიის ზღვით, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროკავშირში გატანა. ეს ხაზი თუ აეწყო, მაშინ რუსეთის გავლენა ევროკავშირში, მისი კოზირი და ბერკეტი, ენერგეტიკული რესურსებით გავლენა, ძალიან მცირდება, რაც მათ ძალიან აწუხებთ.

ასევე აბრეშუმის გზა, რომელიც ჩინეთი-შუა აზია-აზერბაიჯანი-საქართველოს გავლით და ჩინეთისა და შუა აზია ტვირთებს საქართველოზე გავლით ევროკავშირის ტერიტორიაზე გაიტანს. ამაზეა მიბმული ანაკლიის უზარმაზარი პორტი, რომელმაც უნდა მიიღოს დიდი წყალწყვის გემები, რომელსაც დიდი ტვირთების გადატანა შეეძლება. ეს გარდა იმისა, რომ ალტერნატიული გზაა რუსეთისა და თურქეთის ტერიტორიებზე გამავალი სატრანსპორტო გზისა, ანაკლიის პორტი კონკურენტუნარიანი პორტი იქნება შავი ზღვის სხვა პორტების მიმართ.

***– გასაგებია, მაგრამ ეს ყველაფერი წყალში ჩაგიყარათ სუბელიანმა.***

– როგორ ჩაგვიყარა?!

***– ბატონო გიორგი, მოგეხსენებათ, სუბელიანი სტრუქტურებში მუშაობდა, რაღაც დანაშაულის გამო ციხეში ჩასვეს, ახლა ამბობს, რომ ნაცხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულების მოწმეებისაგან წამებით მიიღეს ჩვენებები და ა.შ.***

– მერე პროკურატურამ ხომ გამოაქვეყნა ჩანაწერები, სადაც ამბობს, ამასთან დაკავშირებით არავითარი ფაქტები არ გააჩნია და იმიტომ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება დააშანტაჟოს. ჯერ ერთი, სუბელიანის ლაპარაკმა როგორ უნდა შეცვალოს საქართველოს გეოპოლიტიკური სიტუაცია. აქ მხოლოდ რუსეთის ინტერესები კი არ არის, შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ინტერესებიცაა.

***– შიგნით ხომ რევს სიტუაციას?***

– ამას ვამბობ. ამ არეული და არაავთენტური, მოგონილი და დადგმული ჩანაწერების გამოქვეყნება რუსეთის სპეციალური ხაზია, რომელსაც ვიღაც „რუსთავი-2-ს“ აწვდის. ძალიან მარტივი გეგმაა. ნურავის ჰგონია, გრიგოლ ვაშაძე (რომელიც ცნობილია, რასაც წარმოადგენს და სად მუშაობდა – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განყოფილებაში) გაიმარჯვებს. მისი გამარჯვება ხომ შეუძლებელი და წარმოუდგენელია. მას ხმას ვინ მისცემს. ამიტომ უნდათ სიტუაცია არიონ.

წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი დამუშავებული სქემების გამოყენება ახალი არ არის. აქ რუსეთი სიტუაციის არევას ცდილობს, რათა საარჩევნო პერიოდში ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია მოხდეს. რუსეთის ანტიქართული გეგმები არ უნდა შესრულდეს.

***– ბატონო გიორგი, რატომ დატოვეს სუბელიანი და მისთანები სახელმწიფო სტრუქტურებში? ყველაზე დიდი კითხვა ეს არის. ჩვენთან ყოფილი პატიმრები აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მწამებლები და საქმეების გამყალბებლები დღესაც მუშაობენ. რატომ?***

– ამაზე პასუხი არ მაქვს. ამ კითხვას მეც ვსვამ, რატომ მუშაობენ ასეთი ადამიანები სტრუქტურებში. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი და პარლამენტის სხდომებზე სულ მათ მხილებაში ვარ. ახლა კი არა, ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, იმ პერიოდიდან ვამხელდი. ახლაც ვიმეორებ, რომ არ შეიძლებოდა ამ ადამიანების განსაკუთრებით საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დატოვება. ქვედა რგოლებში (რომლებიც არავითარი გადაწყვეტილების მიმღები არ არიან) კადრების ეტაპობრივად გამოცვლა შეიძლება.

მათ პრობლემები შეუქმნეს ადამიანებს. მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით პროკურატურაში 52 ათასზე მეტი საჩივარია შესული. ეს ხალხი მონაწილეობდა ქონების ჩამორთმევებში და სხვა დანაშაულობებში. სტრუქტურები უნდა გაწმენდილიყო.

***– 6 წელი გავიდა და არ გაიწმინდა. ახლა სუბელიანი ამბობს, რომ 50-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ჰყავს, რომ იტაცებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს.***

– სად ჰყავს 50-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, როგორ წარმოგიდგენიათ.

***– არ ვიცი, მაგრამ ხომ ამბობს, ხალხს მეტი კი არ უნდა.***

– ხალხის გასაგიჟებლად ლაპარაკობენ.

***– რატომ ააღელვეთ ეს ხალხი და რაში სჭირდება საქართველოს მარიხუანა და მისი კულტივაცია?***

– მე როდის ავაღელვე. მე წინააღმდეგი მივეცი ხმა. მე მარიხუანის წინააღმდეგი ვარ.

***– მე თქვენ კითხვას გისვამთ, როგორც უმრავლესობის წარმომადგენელს.***

– ჩემი პოზიციაც მნიშვნელოვანია. უამრავი ადამიანია, უამრავი პოზიციაა. უმრავლესობა ხუთი პარტიისაგან შედგება. მწვანეთა პარტიის დამოკიდებულება მთელმა საქართველომ იცის. ეგ პროექტი დაწუნებულია.

***– განხილვა ორი თვით გადაიდოო. გონივრული არ იქნება, რომ ახლავე გაიწვიონ უკან ეს პროექტი?***

– ორი თვით კი არ გადაიდო, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა – როცა არ გინდა კანონპროექტი განიხილო, მისი გადავადება ხდება.

***– ყურადღება როგორ არ მივაქციო, ეს ძალიან დიდ გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგებზე. გრიგოლ ვაშაძეს რატომ აძახებინებთ საარჩევნო კლიპში, ხელისუფლებას უფლება არ მივცეთ ვაზის ქვეყანა მარიხუანის ქვეყნად გადააქციოსო?***

– გრიგოლ ვაშაძის ლოზუნგი რომ მოგყავს არგუმენტად, გრიგოლ ვაშაძე იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელმაც ავღანეთის ჰეროინის ტრასა გახსნა, რომლის საშუალებითაც საქართველოში შემოდიოდა 9 ტონა სუფთა ჰეროინი. აქედან 2 ტონა საქართველოში რჩებოდა, დანარჩენი გადიოდა ევროკავშირის ქვეყნებში. რა უფლება აქვს გრიგოლ ვაშაძესა და ნაცების განაყოფებს, ამაზე ხმა ამოიღონ. ესენი დამნაშავეები არიან. მათ ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი წამალზე დასვეს.

***– ახლა, აგერ, ქუჩაში რომ გავდივარ, მარიხუანის სუნი ტრიალებს და სუნთქვა შეუძლებელია.***

– ძალიან მალე კანონპროექტს მივიღებთ, რომელიც იმდენად მკაცრია, ქუჩაში კი არა, მოწევას სახლშიც ვერ გაბედავს. საკონსტიტუციო სასამართლომ ძალიან ცუდი გადაწყვეტილება მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასანეიტრალებლად კანონს ვლებულობთ.

***– დედა ენის ბაღის მიდამოებში, სადაც ზურაბ ჯაფარიძე მარიხუანის ფესტივალის ჩატარებას გეგმავს, იქ, ფესტივალის გარეშეც მინდორზე კვამლი ადის, იმდენი ადამიანი ეწევა მარიხუანას. ეს არის ადგილი, სადაც მცირეწლოვანი ბავშვებიც დადიან და ხედავენ ამ უბედურებას.***

– სანამ ახალ კანონს არ მივიღებთ, სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება აძლევს ამის საშუალებას. ეს არის უბედურება. მივიღებთ კანონს და როგორ გააკეთებენ ამას, იმასაც ვნახავთ. ამასთან დაკავშირებით ზურაბ ჯაფარიძე პროკურატურამ გააფრთხილა. კარგი იქნება თუ ამას ყურადღებას მიაქცევს. მას მოუწევს პასუხისგება.

# „ვერ გავიგე, ქვეყანაა თუ კინოსტუდია?!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

2012 წელს, როდესაც ციხის სკანდალური კადრები გავრცელდა, მაშინ ეს პირდაპირ ბიძინა ივანიშვილთან არ ასოცირდებოდა. მაშინ ოპოზიციამ იმდენი მოახერხა, რომ ეს სხვას გაევრცელებინა და არა მას.

ახლა ეს ფარული ჩანაწერები ვიღაცას დამოუკიდებლად რომ გაევრცელებინა, რასაკვირველია, გაცილებით უფრო დიდი ეფექტი ექნებოდა. რა თქმა უნდა, ეფექტი ახლაც აქვს, მაგრამ არა – დამანგრეველი. ნაციონალურ მოძრაობას არ ეყო ჭკუა, რომ ეს გაეთვალა და ფარული ჩანაწერები არა მათ, არამედ სხვას გაევრცელებინა.

***– ბატონო ვახტანგ, ამის საპირწონედ რამდენად გამოდგა პროკურატურის მიერ ნაჩვენები ფარული ჩანაწერები, რომლებზეც ბევრი კითხვა უკვე არსებობს, ხომ არ არის ის ინსცენირებული?***

– საზოგადოებაში ამ საპასუხო აუდიოჩანაწერმა დიდი ირონიული ღიმილი გამოიწვია. ვერ გავიგე, ქვეყანაა თუ კინოსტუდია?! ქვეყანას მართავენ თუ სპექტაკლებს დგამენ?! როგორც ჩანს, ქვეყანაში ბლომად გვყავს სცენარისტები, მაგრამ რეჟისურაში აშკარად მოიკოჭლებენ. სერიოზული და ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ამ შეფასებებსა და თითქოს არგუმენტებს, რასაკვირველია, ვერ მიიღებს.

***– თქვენთვის არ არის არგუმენტი?***

– როგორ შეიძლება ეს ვინმესთვის არგუმენტი იყოს?!რაღაცნაირად ამ ყველაფრის შემხედვარეს გიჩნდება ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში ორივე მხარე, ნაციონალური მოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამომრჩეველმა არჩევნებში საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა. მე ვფიქრობ, რომ გამოსავალი არის, ამომრჩეველმა მესამე ძალა ეძებოს და სახლში არ დარჩეს.

## რევაზ შიუკაშვილი: „ბავშვობაში მეზობლის ფანჯარა გავტეხე და ამაზე ბრალს როდის წამიყენებთ?“



ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტზე ბრალდებული რევაზ შიუკაშვილი ბრალს არ აღიარებს.

როგორც კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატმა ქეთი მირიანაშვილმა განაცხადა, საქმეში ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება აუდიოჩანაწერია, რომლის ავთენტურობასაც დაცვის მხარე ეჭვქვეშ აყენებს.

ადვოკატის თქმით, ამ საქმეზე ბრალის წაყენება შიუკაშვილისთვის მოულოდნელი იყო, რადგან მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ საქმეზე პროკურატურას არც კი დაუკითხავს.

– ამ საქმეზე არ ყოფილა დაკითხული აქამდე რევაზ შიუკაშვილი და, რა თქმა უნდა, გაუკვირდა, ამ საქმის ფარგლებში ბრალი რომ წარუდგინეს. გუშინ გადმოგვეცა საქმის მასალები. საკმაოდ მოცულობითია და დეტალურად არ ვარ გაცნობილი ბოლომდე. ძირითადი მტკიცებულება არის აუდიოჩანაწერი, თუმცა მისი ავთენტურობა დგას ეჭვქვეშ. ზოგადად დანაშაულის მომზადებისთვის საჭიროა გარკვეული ქმედებების განხორციელება, რომელიც საქმის მასალების გაცნობიდან ჯერჯერობით ვერ დავინახეთ, – განაცხადა ქეთი მირიანაშვილმა.

რაც შეეხება ფარული ჩანაწერების შინაარსს, ადვოკატის თქმით, ამაზე მას შემდეგ ისაუბრებს, რაც ჩანაწერებს დეტალურად გაეცნობა.

– დეტალების გაცნობის შემდეგ ვისაუბრებ ამ ჩანაწერებზე. რამდენიმე ჩანაწერია და საუბარი მიმდინარეობს კუდ-ის ყოფილ თანამშრომლებს შორის. არაფერი არ იკვეთება ამ ჩანაწერებით. როგორც ჩანს, ჩანაწერები გაკეთებულია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებამდე. ამ ჩანაწერებზე ფონოსკოპიური ექსპერტიზა ჩატარდა 2016 წელს და თუ პროკურატურას ჰქონდა იმის მტკიცებულება, რომ ჩადენილი იყო დანაშაული, რატომ მოხდა დღეს ამ ბრალდების წარდგენა და არა მაშინ, როცა ექსპერტიზამ ამ ჩანაწერების ავთენტურობა ცნო, – აღნიშნა ადვოკატმა.

თავად რევაზ შიუკაშვილმა გუშინ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერს ფალსიფიცირებული უწოდა. – მაინტერესებს, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, რატომ ხდება ყველაფერი და რატომ მიყენებთ ბრალს?! 2016 წელს საპარლამენტო არჩევნები იყო და ორი კვირით ადრე 26 მაისის საქმეზე წამიყენეთ ბრალი. 2 წელია საქმე სასამართლოში განიხილება და 20 მოწმეა მხოლოდ დაკითხული, მთავარი დამნაშავე და დამრბევი კი გარეთაა. ახლა ეს ბრალი და აგერ 11 დღეში კიდევ არჩევნებია. ყველაფერი ფალსიფიცირებულია და თქვენ ყველაფერზე მოგეთხოვებათ პასუხი ძალიან მალე.

მინდა ვაღიარო მარტო ერთი რამ – ბავშვობაში მეზობლის ფანჯარა ჩავამტვრიე და დღესაც არ იციან ეს. როდის წამიყენებთ ამაზე ბრალს? – მიმართა პროკურორებს რევაზ შიუკაშვილმა.

## ადვოკატი ველიჯანაშვილი: „ჩანაწერში მარტო იმას ამბობენ, რომ ჩეჩნებს რაღაც საწამლავი აქვთ, რომელიც ორ-სამ დღეში კლავს“



– პატარკაციშვილის მკვლელობის შესახებ სადაც არის საუბარი, იქ ლევან ქარდავა არ მონაწილეობდა. ქარდავა სადაც მონაწილეობს, იქ საერთოდ არ არის მკვლელობაზე საუბარი.

ამის შესახებ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულ ლევან ქარდავას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ადვოკატის თქმით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე, ლევან ქარდავა წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოა, რაზეც ბევრი ფაქტი მიანიშნებს.

– ლევან ქარდავასთვის ხმის ნიმუში არ აუღიათ. ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა, არ არის სინამდვილე და ობიექტური. ექსპერტიზა ჩატარდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში, მატუშევსკაიას მიერ, იქ, სადაც ყველა დასკვნა ყალბდება თითქმის ყველა საქმეზე. ყალბი დასკვნაა გაცემული რობაქიძის საქმეზე სწორედ ამ ექსპერტიზის მიერ და ასევე უამრავ სხვა საქმეზე.

ამ ჩანაწერში არ არის დანაშაულის შემადგენლობა. იქ არის საუბარი, რომ ჩეჩნებს რაღაც საწამლავი აქვთ, რომელიც ორ-სამ დღეში კლავს. მერე რა. იმ ჩანაწერში არ არის, რომ ეს უნდა გამოიყენონ პატარკაციშვილის, პეტრეს თუ პავლეს მოსაკლავად, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

## გიორგი მერებაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე ბრალდებულ გიორგი მერებაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქმის პროკურორის დავით გუმბერიძის განცხადებით, არსებობს ბრალდებულის მიმალვისა და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე.

– თქვენ მიერ ჩამოთვლილი პირები ჩემთვის უცნობია და საერთოდ არ ვიცნობ მათ. უკანონო არაფერი ჩამიდენია არასდროს. რაც შეეხება მიმალვას, რატომ უნდა მივიმალო? ვისაც ოპერატიულ საქმიანობასთან და ძებნილებთან ჰქონია შეხება, იცის, რომ მიმალვაში ყოფნა ძალიან დიდ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს. მე კი ასეთი სახსრები არ გამაჩნია, – განაცხადა გიორგი მერებაშვილმა სასამართლო პროცესზე.

## „ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა მიხეილ სააკაშვილისგან სანქცირებული და დათა ახალაიასთან შეთანხმებული იყო“

### ბრიფინგი პროკურატურაში

გუშინ, 17 ოქტომბერს, ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე მთავარ პროკურატურაში ბრიფინგი გაიმართა.

„საქართველოს პროკურატურის მიერ გახსნილია ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტი. სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მომზადების ფაქტზე, დაკავებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს პირველი სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი მერებაშვილი. მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს ლევან ქარდავას და ამავე სამმართველოს მეორე სამსახურის უფროსს რევაზ შიუკაშვილს კი წარედგინათ ბრალდებები.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია: საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ე.წ. „ფარული კადრების ჩამწერი პირების საქმეზე“, ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს, აღმოჩენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ხმის ჩამწერი მოწყობილობა, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ 2007 წლის 4 და 5 თებერვლის ორი ჩანაწერი, კონკრეტული პირის ლიკვიდაციის მომზადების საკითხს შეეხებოდა.

კერძოდ, 2007 წლის 4 თებერვლის ჩანაწერში კუდის მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე ესაუბრება ბადრი პატარკაციშვილის დაცვის წევრს და მის გადმობირებას ცდილობს. საუბრისას გიორგი დგებუაძე ადასტურებს, რომ მკვლელობის მომზადების საკითხი სანქცირებულია საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ, რადგან ბადრი პატარკაციშვილი მათი პოლიტიკური ოპონენტი და ხელისუფლების დაუძინებელი მტერია.

ჩანაწერის მიხედვით, ასევე დგინდება, რომ ლიკვიდაცია კუდმა უნდა განახორციელოს.

რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, რომელიც 2007 წლის 5 თებერვლით თარიღდება, მასში ასახულია ე.წ. „მოდულის“ შენობაში გამართული თათბირი, რომლის დროსაც კუდის მაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე, მის დაქვემდებარებაში მყოფი ასევე კუდის თანამშრომლები და ამჟამად ბრალდებულები ლევან ქარდავა, რევაზ შიუკაშვილი და გიორგი მერებაშვილი, პოლიტიკური სივრციდან ჩამოშორების მიზნით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას ამზადებენ.

საუბრის მიხედვით, ისინი განიხილავენ პატარკაციშვილის ლიკვიდაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მათ შორის დაცვის თანამშრომელთა სიის მოპოვების და პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობებს. ასევე მსჯელობენ მკვლელობის სხვადასხვა გზებზე, კერძოდ, მისი ისეთი ნივთიერებით მოწამვლაზე, რაც ბუნებრივი სიკვდილის ეფექტს გამოიწვევს.

ამავე საუბრის თანახმად დგინდება, რომ ყველა საკითხი, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესაბამისი მეთოდები თანხმდება კუდის იმდროინდელ ხელმძღვანელ დათა ახალაიასთან.

საქმეზე დაკითხული არაერთი მოწმის ჩვენებით და მოპოვებული წერილობითი მტკიცებულებებით დადასტურდა,



რომ მკვლელობის მოსამზადებლად მუდმივად კონტროლდებოდა ბადრი პატარკაციშვილის გადაადგილების მარშრუტი, მათ შორის აეროპორტის ის გასასვლელები, რომლითაც იგი სარგებლობდა.

ამასთან, გარდა იმისა, რომ რევაზ შიუკაშვილი სისტემატურად აგროვებდა დაცვის წევრების შესახებ მონაცემებს, ასევე, კუდის თანამშრომლები, მათ მიერვე დაკავებულ პატარკაციშვილის დაცვის რამდენიმე წევრს, მკვლელობის მომზადებისთვის საჭირო პირობების შექმნის სანაცვლოდ, მათ მიმართ დაწყებული დევნის ნაწილში სხვადასხვა სახის შეღავათებს სთავაზობდნენ.

პროკურატურის მიერ მხილებული, ჩანაწერის მონაწილე კუდის სამი მაღალჩინოსნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 18, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება კუდის კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს გიორგი დგებუაძეს, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოში მისი ექსტრადირება ნიდერლანდების სამეფოში დაკავების შემდეგ განხორციელდა. შესაბამისად, მის მიმართ დევნის დაწყებისა და ექსტრადირების განმახორციელებელი ქვეყნის თანხმობის მისაღებად, პროკურატურა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პრაქტიკას გამოიყენებს.

ამ ეტაპზე საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-მხილების მიზნით“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

---

ბადრი პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ და მათმა შვილებმა საქართველოს პროკურატურის მიერ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებაზე განცხადება გაავრცელეს.

„იმის მიუხედავად, რომ გამოძიება უკვე ძალიან დიდი ხანია გრძელდება, პროკურატურის დღევანდელი ბრიფინგი იყო ძლიერი შოკი ჩვენი ოჯახისთვის. ძნელია, გადმოსცე, რას გრძნობს ოჯახი, რომელმაც დაკარგა ბადრი, მაშინ, როდესაც ეთერით ვისმენთ საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ იგეგმებოდა მისი მკვლელობა.

მოვითხოვთ სრულყოფილი გამოძიების უმოკლეს დროში დასრულებას და ვიმედოვნებთ, რომ ყველა, ვინც ამ ბოროტებას გეგმავდა, მკვლელობის დამკვეთებიდან დაწყებული, შემსრულებლებით დამთავრებული, სრული სიმკაცრით აგებს პასუხს როგორც კანონის, ასევე, თავის დროზე, ღმერთის წინაშე“ – აღნიშნულია ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადებაში.

## „ჩვენ არ გვინდა პროცესის გაჭიანურება“

### გიორგი ჭანტურია სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებული გიორგი ჭანტურია, გუშინ, 17 ოქტომბერს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდა.

ამის თაობაზე გიორგი ჭანტურიას ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განაცხადა.

ბექა ბასილაიამ სასამართლოს გიორგი ჭანტურიას წერილი გააცნო, სადაც ის სასამართლო პროცესის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას აფიქსირებს და სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზს განმარტავს.

– წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ „ჩადებული მოწმეების საქმეზე“ არაერთი უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რისი არასამართლებრივი გზებით რესტავრაციის მცდელობას ჰქონდა ადგილი საქმის არსებითი განხილვის სხდომაზეც. სწორედ აღნიშნულს გამოვუცხადეთ ჩვენ პროტესტი, ეს არანაირად არ ეხება და ეხმიანება პროცესის გაჭიანურებას, პირიქით, ჩვენ თავად ვართ მოტივირებული, რომ რაც შეიძლება სწრაფად დადგინდეს გიორგი ჭანტურიას უდანაშაულობა, თუმცა უკანონო საპროცესო კოდექსის მიღმა არსებულ რეალობაში, ჩვენ მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ.

არ შეიძლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მიღებული კანონგარეშე გადაწყვეტილების, ასე ვთქვათ, „გასაპრავებლად“, არსებით განხილვაზე „კარტბლანში“ მივცეთ და სასამართლოს დავეთანხმოთ იმ საკითხებზე, რაზეც უკვე არაკანონიერი გადაწყვეტილებებია მიღებული, – განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ ჟურნალისტებთან საუბარში.

მისივე თქმით, პროტესტი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე საქმის არსებითი განხილვის მოსამართლე შეფასებას არ მისცემს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის ეკატერინე პართენიშვილის გადაწყვეტილებას, რომლითაც მან გიორგი ჭანტურიას წაართვა კანონიერი უფლება და მისი საბოლოო პასუხის გარეშე ირჩევდა ის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თუ არა, საქმე არსებითი განხილვის მოსამართლეს გადასცა.

ბრალდების მხარე გიორგი ჭანტურიას და მისი ადვოკატების ქმედებას, პროცესის გაჭიანურების მცდელობად აფასებს.

პროკურორ ლევან ჯალაღანიას განცხადებით, სასამართლომ არაერთხელ მისცა ბრალდებულს შესაძლებლობა, რომ საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა.

– სასამართლომ არაერთხელ მისცა ბრალდებულს და მის ადვოკატებს შესაძლებლობა, რომ საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ, ჩამოყალიბებულიყვნენ თუ საქმის განხილვის რა წესს ირჩევენ, ირჩევენ მოსამართლეს თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. მიუხედავად ამისა, ისინი მიზანმიმართულად, ორგანიზებულად ახდენენ პროცესის გაჭიანურებას და არ აფიქსირებენ პოზიციას, – განაცხადა პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ.



გიორგი ჭანტურია სამართალდამცავებმა, გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით რვა თვის შემდეგ, რუსთავში დააკავეს. სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

გენერალი სამსონ ქუთათელაძე, ე.წ. სტამბოლის ბაზრის ტერიტორიაზე, საკუთარ კაბინეტში 15 იანვარს ნახეს მოკლული. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან 6 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

## ფაშისტური მოძრაობის ლიდერს 16 ადვოკატი იცავს



ფაშისტური მოძრაობის, „საქართველოს ეროვნული ერთობის“ წევრს, გიორგი ჭელიძეს სასამართლოში 16 ადვოკატი იცავს.

– ქართულ მართლმსაჯულებას არ ახსოვს, რომ ამდენი ადვოკატი იცავდეს ვინმეს. თუ საჭირო იქნება, დავრეკავ ასოციაციაში, პროფკავშირებში და კიდევ ბევრ ადვოკატს მოვიყვანთ. ეს იმიტომ, რომ გიორგი ჭელიძის დაკავებით საქართველოს ეროვნულობა საფრთხეშია. ამდენი ადვოკატი სააკაშვილის დასაცავად არ მოვა, – აცხადებს ადვოკატი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში ჭელიძის მხარდამჭერი აქციაც გაიმართა. აქციის მონაწილეებმა მისი გათავისუფლება მოითხოვეს.

გიორგი ჭელიძეს ბრალი სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ნიკოლ პაშინიანი გადადგა



სომხეთის პრემიერმა ნიკოლ პაშინიანმა გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ სურს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს მიაღწიოს.

– სომხეთის პარლამენტის ახლანდელი შემადგენლობა რეალობას არ შეესაბამება. ვადამდელი არჩევნები აუცილებელია, – განაცხადა პაშინიანმა.

## აფეთქება ქერჩის პოლიტექნიკურ კოლეჯში

### დაიღუპა 18 ადამიანი, დაშავდა 50



გუშინ, 17 ოქტომბერს, რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის ქალაქ ქერჩში, პოლიტექნიკურ კოლეჯში, აფეთქება მოხდა.

აფეთქებას საგამოძიებო კომიტეტმა ტერაქტის კვალიფიკაცია მიანიჭა – შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, რომელიც კოლეჯის სასადილოში იყო დამონტაჟებული.

ტერაქტის შედეგად დაღუპულია 18, დაშავებულია 50-მდე ადამიანი.

აფეთქებაში ეჭვმიტანილმა თავი მოიკლა. ის კოლეჯის მე-4 კურსის სტუდენტია. მისი ცხედარი კოლეჯის მე-2 სართულზე მდებარე ბიბლიოთეკაში იპოვეს.

## ასადი მოსკოვში ჩავა



სირიის დიქტატორი ბაშარ ასადი 2019 წელს მოსკოვში ჩავა. დაგეგმილია შეხვედრა-მოლაპარაკებები ვლადიმერ პუტინთან.

ძირითადი თემა რუსეთისა და სირიის ურთიერთობები იქნება.

ბაშარ ასადი აგრეთვე ყირიმს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც მოინახულებს. ამით ის ცდილობს პუტინის გული მოინადიროს და სირიისთვის რუსეთის დახმარების გაფართოებას მიაღწიოს.

## ვინიცასთან უკრაინის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა



უკრაინის სამხედრო თვითმფრინავმა ქალაქ ვინიცასთან კატასტროფა განიცადა. დაიღუპნენ პილოტი და აშშ-ის ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი, რომელიც ბორტზე იმყოფებოდა.

## დიდი შვიდეული საუდის არაბეთს: სასწრაფოდ გამოიძიეთ ჟურნალისტ ჰაშოგის გაუჩინარების საკითხი



დიდი შვიდეულის ქვეყნებმა და ევროკავშირმა საუდის არაბეთს ჟურნალისტის ჯამალ ჰაშოგის გაუჩინარების დაუყოვნებლივი გამოძიებისკენ მოუწოდეს.

ამის შესახებ „დიდი შვიდეულის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ფედერიკა მოგერინის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი.

„ჰაშოგის გაუჩინარებაში დამნაშავე პირები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. ვიმედოვნებთ, რომ საუდის არაბეთი სანდო, გამჭვირვალე და დაუყოვნებლივ გამოძიებას ჩაატარებს" – ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, ნიუ იორკ ტაიმსის ინფორმაციით, საუდელი ჟურნალისტის გაუჩინარებაში ეჭვმიტანილი პირები საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის მუჰამედ იბნ სალმანის გარემოცვის წევრები არიან.

წარმოშობით საუდელი ჟურნალისტი ჯამალ ჰაშოგი ერ-რიადის მიმართ კრიტიკული განცხადებებით არის ცნობილი. 2017 წელს მან სამშობლო დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ის სტამბოლში, საუდის არაბეთის გენერალურ საკონსულოში მივიდა იმის შემდეგ, რაც საკონსულოს თანამშრომლები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ და გარკვეული დოკუმენტების ხელმოწერის მიზნით საკონსულოში მისვლა სთხოვეს.

ჰაშოგი საკონსულოში საცოლესთან ერთად მივიდა, თუმცა ის შენობაში არ შეუშვეს. შესვლიდან 5 საათის შემდეგ საკონსულოში ჟურნალისტის საცოლეს განუცხადეს, რომ ჰაშოგი უკვე წავიდა. ჟურნალისტის ოჯახი და მეგობრები ვარაუდობენ, რომ ჯამალ ჰაშოგი საუდის არაბეთის საკონსულოშია მოკლული.

## თვითმფრინავი, რომელშიც მელანია ტრამპი იჯდა, ავარიულად დაეშვა



თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც აშშ-ის პირველი ლედი მელანია ტრამპი იმყოფებოდა, იძულებული გახდა, დაკვამლიანების გამო დაშვებულიყო.

ინციდენტი გუშინ, 17 ოქტომბერს, მოხდა.

აფრენიდან 10 წუთში თვითმფრინავის წინა ნაწილში დამწვრის სუნი იგრძნობოდა. თვითმფრინავი ენდრიუსის ავიაბაზაზე დაეშვა.

სავარაუდოდ, ინციდენტის მიზეზი მექანიკური პრობლემა გახდა.

თეთრი სახლის წარმომადგენლის, სტეფანი გრიშემის თქმით, მელანია ტრამპი ფილადელფიაში მიემგზავრებოდა.

ბორტზე მყოფი ყველა პირი უსაფრთხოდ არის.

## ვინ დაუჭერს მხარს მოსკოვის საპატრიარქოს?!



როგორც ცნობილია, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა მიიღო დადგენილება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. რუსი რელიგიათმცოდნე ფურცევი მიიჩნევს, რომ ამით რუსული ეკლესიის იზოლაცია დაიწყო.

ფურცევის აზრით, მოსკოვის საპატრიარქოს მუდმივი სატელიტები არ ჰყავს. ზოგიერთი მართლმადიდებლური ეკლესია რუსებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს, მაგრამ საეჭვოა, რომ კონსტანტინეპოლთან კონფრონტაციაში მოსკოვის მხარე დაიჭიროს.

ამისი ცხადი მაგალითია ბულგარეთი, რომელმაც ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. სერბეთის პატრიარქი პოლიტიკურად და ეკონომიკურად რუსეთზეა დამოკიდებული, თუმცა კონსტანტინეპოლთან კონფრონტაციისგან თავს იკავებს. ნეიტრალურია ქართული ეკლესიის პოზიციაც.

მსოფლიო პატრიარქის მხარეს დგანან რუმინეთის, ალბანეთის, საბერძნეთის ეკლესიები. რუსეთს შესაძლოა მხარი დაუჭირონ პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ესტონეთის მცირერიცხოვანმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა, რომლებიც მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებულნი. მართლმადიდებლური ეკლესიების უმრავლესობა მსოფლიო პატრიარქის მხარეს დაიკავებს.

– ამრიგად, რუსეთის პატრიარქის მუქარა მსოფლიო მართლმადიდებლური კრების მოწვევისა და მსოფლიო პატრიარქის გადაყენების შესახებ, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, – ამბობს ფურცევი.

## ავღანეთში დეპუტატობის კანდიდატი ააფეთქეს



ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, აფეთქების შედეგად დეპუტატობის კანდიდატი ჯაბარ ქაჰრამანი დაიღუპა და 7 ადამიანი დაშავდა.

პროვინციის გუბერნატორ ომარ ზვაკის განცხადებით, აფეთქება ქალაქ ლაშქარგაჰში გუშინ დილით მოხდა.

დაშავებულები საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

ზვაკის თქმით, ასაფეთქებელი ნივთიერება დეპუტატობის კანდიდატის სავარძელში იყო მოთავსებული.

საპარლამენტო არჩევნები ავღანეთში 20 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ არასტაბილური სიტუაციის გამო, ბოლოს საპარლამენტო არჩევნები ავღანეთში 2010 წელს ჩატარდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### კალეიდოსკოპი

## ღვთისმსახურმა შემოწირულობის გადარჩენა სცადა და დაიხრჩო



განის აღმოსავლეთ რეგიონში მდებარე ქალაქ აპაპამში დაიღუპა ღვთისმსახური, რომელიც წყალდიდობის დროს მრევლის მიერ გაღებული შემოწირულობის გადარჩენას ცდილობდა.

ეკლესიამ, რომელშიც დაღუპული მსახურობდა, შემოწირულობის ორგანიზება მოაწყო. ორი დღის განმავლობაში ჯამში, რომელშიც ფულს ყრიდნენ, მნიშვნელოვანი თანხა დაგროვდა. მისი ბანკში შეტანა ორ დღეში იყო დაგეგმილი.

წინა საღამოს აპაპამს კოკისპირული წვიმა დაატყდა თავს და წყალდიდობა დაიწყო. წყალი ეკლესიაში შევარდა და ფულით სავსე ჯამი გაიტაცა. ღვთისმსახური მის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ ადიდებულ წყალში დაიხრჩო.

ადგილობრივებმა დაღუპულის ცხედარი მისი სახლიდან რამდენიმე მეტრში იპოვეს. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დუდუ დადიანის თასი დაძაბული მატჩებით დაიწყო

დუდუ დადიანის მე-17 მემორიალი თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიხსნა. წლევანდელ გათამაშებაში სუპერლიგის 10-ივე გუნდი მონაწილეობს, რომლებიც 2 ჯგუფში არიან გადანაწილებულნი. ტრადიციულად, დადიანის მემორიალი სეზონის პირველი ტურნირია და მას გუნდები შესათამაშებლად, ლეგიონერების გამოსაცდელად და მეტოქეთა დასაზვერად იყენებენ. გამონაკლისი არც ეს ტურნირი გახლავთ: პირველ დღეს გამართული მატჩები საკმაოდ საინტერესო გამოდგა.

მგზავრები-შსს აკადემია-ტიტები 91:90

მგზავრებმა სუპერლიგის წინა სეზონში ბრინჯაოს მედლები რომ მოიგეს, ადრიან ბოუის დიდი დამსახურებაა. ამერიკელი ლეგიონერი მგზავრების ხელმძღვანელობამ ამ სეზონშიც შეინარჩუნა და ეს ალბათ ყველაზე კარგი სასელექციო სვლა იყო, რომელიც ამ გუნდმა განახორციელა. ბოუიმ შსს აკადემია-ტიტებს



30 ქულა ჩაუგდო, რითაც დადიანის მემორიალის გამარჯვებით დაწყებაში მგზავრებს დიდად დაეხმარა.

მატჩის ბედი ბოლო 2 წუთში გადაწყდა, როცა მგზავრების ლიდერობამ 10 ქულას მიაღწია, მანამდე კი ისეთი თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა თუნდაც 5-ქულიანი ლიდერობის მოპოვება. მატჩის ბოლო პერიოდში ბოუის ხელი რეზო ჩაჩანიძემ და კახა ჯინჭარაძემაც შეაშველეს, რომლებმაც ქულა ქულაზე იხვეჭეს და ტიტებს მთელი თამაშის განმავლობაში ნაწვალები წყალში ჩაუყარეს. ტიტებში კარგი დებიუტი ჰქონდა ყოფილ დინამოელ ილია ლონდარიძეს, რომელმაც შეხვედრა 20 ქულით დაასრულა.

**კაკტუსი-ოლიმპი 84:85**

ორივე გუნდმა სწრაფი კალათბურთი ითამაშა. შეხვედრა საინტერესო გამოვიდა და იმ გუნდის გამარჯვებით დასრულდა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში (მცირე გამონაკლისის გარდა) ლიდერობდა. ოლიმპელებმა გასული სეზონიდან შეინარჩუნეს ამერიკელი ლეგიონერი მარკ ოგდენი, რომელსაც 2 გამრჯე უცხოელიც დაამატეს და საკმაოდ სიმპათიური გუნდი ჩამოაყალიბეს.

ოლიმპელებმა პირველი პერიოდი 30:19 მოიგეს და ლიდერობას ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ. კაკტუსს რამდენიმე ახალი ქართველი კალათბურთელი და ლეგიონერები ჰყავს, შესათამაშებლად დრო სჭირდება და დღევანდელ მატჩშიც შეხვედრის ბოლოს უკეთესად ათამაშდა. შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე კაკტუსელებმა ლიდერობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე სულ ცოტა აკლდათ. დასრულებამდე 6 წამით ადრე კაკტუსი იგებდა და ბურთს ფლობდა. წუთშესვენებიდან დაბრუნებულმა კაკტუსელებმა ბურთი თამაშში ხეირიანად ვერ შეიტანეს, რომელიც ოლიმპელმა მარკ ოგდენმა ჩაჭრა, ჩარლზ ბენეტს გადააწოდა და ამ უკანასკნელმა საფინალო სირენის თანხლებით გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

თსუ-ჰიუნდაი-დინამო 66:65

დუდუ დადიანის მემორიალის შარშანდელმა გამარჯვებულმა და სუპერლიგის ჩემპიონმა დინამომ დებიუტანტ თსუ-ჰიუნდაისთან წააგო. გამარჯვების ქულა საჯარიმოდან გიორგი კორსანტიამ ჩააგდო, ისე კი, გამარჯვება თსუ-ჰიუნდაელთა გუნდის ყველა მოთამაშის და მწვრთნელების დამსახურებაა. სუპერლიგის დებიუტანტებმა სამაგალითოდ იბრძოლეს, მოქმედ ჩემპიონსა და ბოლო წლების ყველაზე შედეგიან გუნდს დასანანი მარცხი აწვნიეს.

თსუ-ჰიუნდაიმ კრისტოფერ ანდერსონი ამ სეზონშიც დაიტოვა, რომელსაც სერბი ცენტრი რატკო პეტრიჩი და ამერიკელი ჯეიმს მილიკენი შეამატა. ამათ დაუმატეთ ახალგაზრდა და მებრძოლი ქართველი კალათბურთელები და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ხელში საკმაოდ კარგმა შემადგენლობამ მოიყარა, რომელსაც მომავალ სეზონში სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია.

**დელტა-რუსთავი 77:71**

პირველი ტურის ბოლო შეხვედრაში დელტამ რუსთავი დაამარცხა. თბილისელები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში აგებდნენ, თუმცა ბექა ბექაურისა და ამერიკელი ლეგიონერის – რობ ბრანდენფორდის წინამძღოლობით დასკვნით წუთებზე ლიდერობა მოიპოვეს და გამარჯვებას მიაღწიეს. თბილისელებიო, დელტაზე ვთქვით – ამ გუნდმა ქალაქი გამოიცვალა და გასულ სეზონში მარნეულს რომ წარმოადგენდა, ამიერიდან დედაქალაქური გუნდია.

რუსთაველებს 3 ლეგიონერი ჰყავთ, რომლებიც კარგად გამოიყურებოდნენ და, სავარაუდოდ, კიდევ მოუმატებენ, თუმცა სადღეისოდ მხოლოდ მათმა გარჯამ ქვემოქართლელებს ვერ უშველა. დელტელებმა ბოლომდე იბრძოლეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

# საქართველოს ნაკრებმა ფლეი ოფი პირველმა გაინაღდა

**ლატვია-საქართველო 0:3**

**რიგა.** დაუგავა

1:0 კანკავა (8), 0:2 გვილია (29), 0:3 ჩაკვეტაძე (61)

მე-5 წუთზე ყაზაიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ლატვია:** ვანინსი, იულევსი, იაგოდინსკისი, დუბრა, მაქსიმენკო, ფერტოვსი (ისაევსი 46), ტარასოვსი, ციგანიკსი, რაკელსი, კარაშაუსკსი (იკანეუნიკსი 70), გუტკოვსკისი (საბალა 70)

**საქართველო:** ლორია, კაკაბაძე, კაშია, ხოჭოლავა, დვალი, კვეკვესკირი, კანკავა (აბურჯანია 34), მერებაშვილი (ჯიღაური 80), გვილია, ჩაკვეტაძე (ზარანდია 88), ყაზაიშვილი





როგორც ხდება ხოლმე, საქართველოს ნაკრებმა მე-4 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ინტრიგა დაუკარგა. თუმცა, ამჯერად დადებითი კუთხით – ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილმა გუნდმა ერთა თასზე ზედიზედ მე-4 მატჩი მოიგო და ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე ფლეი ოფში თამაში გაინაღდა.

საქართველოს ნაკრები პირველია, ვინც ვადაზე ადრე მოახერხა დ დივიზიონის საუკეთესო 4 გუნდში გასვლა. თანაც ისე, რომ არც ერთი მატჩის დროს გამარჯვება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია. ყველა შეხვედრა ლაღად, ზედმეტი დატვირთვების გარეშე მოიგო, გოლიც არ გაუშვია და ახლა მხოლოდ იმაზე თუ იფიქრებს, რომ ფლეი ოფს დივიზიონისთვის სასურველი რეიტინგით შეხვდეს, რათა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა კიდევ უფრო გაიადვილოს.

თუმცა, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ საქართველოს ნაკრები ფეხბურთს თამაშობს, რასაც ასე დანატრებულია გულშემატკივარი. იგრძნობა მწვრთნელის ხელი, ფეხბურთელების გარჯა და გულშემატკივრის სიამოვნება.

ფლეი ოფის საგზურის გაფორმება ფორმალობის საკითხი იყო, ამიტომ ვაისმა ანდორასთან ნათამაშები შემადგენლობა მნიშვნელოვნად გადაახალისა. ნავალოვსკი პოლონურ პოგონში მოთამაშე ლაშა დვალით ჩაანაცვლა, სათადარიგო სკამზე დარჩა მოსკოვის ლოკომოტივის მცველი საბა კვირკველია, რომლის მაგიერობასაც დონეცკის შახტარის ფეხბურთელი დავით ხოჭოლავა სწევდა, მოლოდინისამებრ ვაისი ნიკა კაჭარავას აღარ ენდო, მის ნაცვლად ვაკო გვილია დააყენა, ხოლო ნომინალური ფორვარდობა ვაკო ყაზაიშვილს დაევალა, კიტეიშვილის მაგივრად კი გიორგი მერებაშვილი ვიხილეთ.

საქართველოს ნაკრებს მე-5 წუთზე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ვაკო ყაზაიშვილმა 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, რომელიც მერებაშვილის ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დაინიშნა.

თუმცა, გოლს დიდხანს არ დაუგვიანია და ლატვიელთა მეკარეს, ანდრის ვანინსს, რომელმაც პენალტი აუღო ვაკოს, კარიდან ბურთის გამოტანა მაინც მალევე მოუხდა. მე-8 წუთზე, ჯაბა კანკავამ საჯარიმოდან გადმოვარდნილ ბურთს ფეხი შეაგება და ცაციათი ისეთი დააქუხა, მისი ამლები ძნელად თუ მოიძებნება.

28-ე წუთზე კი საქართველოს ნაკრებმა მეორეც გაიტანა: გიორგი ჩაკვეტაძემ ფლანგიდან ჩვეულ სტილში ცენტრისკენ შეიწია, არაორდინალური მოძრაობით მცველები უშანსოდ დატოვა, დახატული პასით ვაკო გვილია მეკარეს პირისპირ შეატოვა და მანაც ვანინსი უშანსოდ დატოვა.

61-ე წუთზე, ჩაკვეტაძემ ერთხელაც გაიბრწყინა და ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მორიგი შედევრი შექმნა – 0:3.

ცხადი იყო, რომ საქართველოს ნაკრები 3 ქულას ხელიდან აღარ გაუშვებდა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– ბედნიერი ადამიანი ვარ, საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, ეს ჯერ პირველი ნაბიჯია და სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. მადლობა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომელმაც ნდობა გამოგვიცხადა და საქართველოს ნაკრებში მუშაობის შესაძლებლობა მოგვცა. ჯგუფის მოგება ჩვენი მიზანი იყო და ეს შევასრულეთ, ევროპის ჩემპიონატზე თამაშის კარგი შანსი გვაქვს. წინ კიდევ 2 თამაშია და ქულების მოპოვებას შევეცდებით იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრაზე მეოთხე კალათაში ვიყოთ.

ბედნიერი ვარ ფეხბურთელების გამო, ჩვენი ხელმძღვანელობით ეს საუკეთესო შეხვედრა იყო. მაღალი სათამაშო კლასი, მონდომება და სათამაშო დისციპლინა ვაჩვენეთ. ვულოცავ ყველა ქართველს, ყველა ფეხბურთელს და ყველას, ვინც მხარდაჭერას გვიცხადებდა, მე დღეს ბედნიერი ადამიანი ვარ. ყველას დიდი მადლობა ასეთი მხარდაჭერისთვის. ვფიქრობ, რომ ქართული ფეხბურთი ვითარდება, ქართველ ხალხს ფეხბურთი ძალიან უყვარს და დარწმუნებული ვარ, რომ ერთა ლიგის ბოლო შეხვედრაში, ყაზახეთის წინააღმდეგ სტადიონი გაივსება.

ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს და თუ ყველა ჩაკვეტაძის გზას გაივლის, მე, როგორც მწვრთნელი, ბედნიერი ვიქნები. ის შესაძლოა ქართული ფეხბურთის ნამდვილი ვარსკვლავი და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის მაგალითი გახდეს.

**მიქსუ პაატელაინენი:**

– საქართველოსა და ლატვიის ნაკრებებს შორის სათამაშო კლასში ძალიან დიდი განსხვავება იყო, მეტოქეს ჰყავს გამოცდილი და ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც წამყვან ლიგებში თამაშობენ. პირველი გოლი უყურადღებობით გავუშვით, მეორე გოლი კი კონტრშეტევის დროს გაგვიტანეს, ასეთ რაღაცებს უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას. მეტოქეს ჰყავს ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენს დაცვაში, რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ, ჩვენ მეტი სათამაშო დისციპლინა გვმართებს. საქართველოს ნაკრები თამაშობს ძალიან სწრაფად, მათ ჰყავთ ძალიან ტექნიკური ფეხბურთელები.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 4 | 00 | 9:0 | 12 | |
| 2.ყაზახეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| 3.ლატვია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |
| 4.ანდორა | 4 | 0 | 2 | 2 | 1:8 | 2 |

# ახალგაზრდული ნაკრები მესამე ადგილზე დარჩა





**პოლონეთი-საქართველო 3:0**

**გდინია.** გდინია არენა

1:0 მიქელთაძე (52სკ), 2:0 მიხალიკი (74), 3:0 კოვნაცკი (90)

**პოლონეთი:** გაბარა, სტოლიარსკი, ვიტესკა, ბოჰინევიჩი, პესტკა, ძიჩეკი, ზურკოვსკი (ამბროსევიჩი 89), კაპუსტკა (მიხალიკი 68), შიმანსკი, კოვნაცკი, იუზვიაკი (იაგიელო 46)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, ქანთარია, გიორგაძე, ლოჩოშვილი, გიორბელიძე (ელოშვილი 79), ჩაჩუა (შულაია 54), სამურკასოვი, კუცია, მიქელთაძე, არველაძე, ბულრიძე (ნინუა 41)

**გაძევება:** კუცია (30)

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურში პოლონეთს ესტუმრა და დიდი ანგარიშით, 0:3 დამარცხდა.

ფინეთში მოგებული მატჩის შემდეგ გია ცეცაძემ რამდენიმე ცვლილება გააკეთა, მაგრამ გუნდს ეს სასიკეთოდ არ წაადგა. არადა, პირველ ტაიმში ჩვენი ნაკრები პოლონეთს ტოლსწორად ებრძოლა. უფრო სწორად, ნახევარი საათი. შემდეგ კი ჩვენები მოედანზე კაცნაკლულნი დარჩნენ და მატჩის ბედი, ფაქტობრივად, მაშინ გადაწყდა.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 12 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ამ ფორმაციის ნაკრებს გაცილებით მეტის პოტენციალი ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით სამწვრთნელო შტაბზე, რომელმაც პირველი ტურიდან მოყოლებული უამრავი შეცდომა დაუშვა. პირველ რიგში შემადგენლობის შერჩევის პროცესში.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დანია | 10 | 7 | 2 | 1 | 30:8 | 23 |
| 2.პოლონეთი | 10 | 6 | 4 | 0 | 22:9 | 22 |
| 3.საქართველო | 10 | 3 | 3 | 4 | 11:19 | 12 |
| 4.ფინეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:21 | 9 |
| 5.ლიეტუვა | 10 | 2 | 2 | 6 | 7:16 | 8 |
| 6.ფარერები | 10 | 1 | 4 | 5 | 10:20 | 7 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართველი მოჭადრაკეების მეტოქეები ცნობილია



1-25 ნოემბერს რუსული ხანტი-მანსიისკი ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც 5 ქართველი მოჭადრაკე ჩაერთვება.

უკვე შედგა წილისყრა: პირველ წრეში ნინო ბაციაშვილი შოტლანდიის სახელით მოთამაშე ქეთევან არახამია-გრანტს ეთამაშება, სოფიკო ხუხაშვილი – ინდოელ ჰარიკა დრონავალს, ნანა ძაგნიძე – კუბელ იერისბელ მირანდა ლანესს, ბელა ხოტენაშვილი – ვიეტნამელ ფუნგ ვო ტი კიმს, ხოლო ლელა ჯავახიშვილი – ჩინელ ჟუ ჯინეერს.

ტურნირის ფორმატის თანახმად, ფინალამდე, მეტოქეები ორ-ორ პარტიას გამართავენ, საჭიროების შემთხვევაში კი, გამარჯვებულს ტაი-ბრეიკზე გამოავლენენ.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობა ოლიმპიური სისტემით წარიმართება, ოცდამეთორმეტედფინალის პირველი შეხვედრები კი 3 ნოემბერს გახლავთ დაგეგმილი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური დაპირისპირება სტარტს 19 ნოემბერს აიღებს და ტაი-ბრეიკი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინიშნება, თუკი, გვირგვინოსანი 4 პარტიის შემდეგ ვერ გაირკვევა.

# ოლიმპიადიდან 6 მედლით ვბრუნდებით




არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მესამე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენებმა გამოსვლა დაასრულეს. 1 ოქროს, 4 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი – ასეთია ჩვენი გუნდის არგენტინული მონაგარი.

ოლიმპიადის ბოლოსწინა საშეჯიბრო დღეს სამკაცა კალათბურთში საქართველოს ნაკრები მეოთხედფინალში მასპინძელ არგენტინას დაუპირისპირდა, 12:21 დამარცხდა და ტურნირს ამ ეტაპზე გამოეთიშა.

მრავალრიცხოვან გულშემატკივართა აქტიური მხარდაჭერით გამხნევებული მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხუან ესტებან ფუენტე, რომელმაც 14 ქულა აიღო და დიდწილად სწორედ მისმა ოსტატობამ განსაზღვრა შეხვედრის საბოლოო შედეგი. ქართველთაგან ყველაზე მეტი – 4 ქულა მოაგროვა ოთარ პერტაიამ, 3-3 ქულა – ლუკა მაზიაშვილმა და ზურაბ ჟღენტმა, 2 – ლაშა მიქელაძემ.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საქართველომ სათამაშო სახეობაში ლიცენზია მოიპოვა და ოლიმპიური თამაშების ფინალურ ეტაპზე გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ დებიუტი წარმატებული გამოდგა. მიუხედავად საკალათბურთო ტურნირის სტარტზე მომხდარი დასანანი ინციდენტისა (ჩვენმა გუნდმა 9 ოქტომბერს სლოვენიასთან პირველ მატჩზე რამდენიმე წუთით დააგვიანა და ტექნიკური წაგება ჩაეთვალა), ქართველებმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს და ჯგუფური ბარიერი წარმატებით დაძლიეს, საბოლოოდ კი 20 გუნდს შორის მე-6 ადგილი დაიკავეს.

თანამედროვე ხუთჭიდელთა ინდივიდუალური პირველობის შემდეგ, საერთაშორისო შერეული გუნდის შემადგენლობაში გამოვიდა გაგა ხიჯაკაძე. მან უნგრელ მიშელე ჯულიასთან ერთად მე-12 ადგილი დაიკავა.

# მოურინიოს პორტუგალიური გინებისთვის დასჯიან



სანაკრებო პაუზებამდე პრემიერ ლიგის ბოლო მატჩი მანჩესტერ იუნაიტედმა ნიუკასლის წინააღმდეგ გამართა და ის საკმაოდ ემოციური გამოდგა. მანჩესტერელები 2 ბურთით მარცხდებოდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში მოედანზე სრულიად სხვა იუნაიტედი ვიხილეთ – მანჩესტერმა 3:2 მოიგო.

ეს ყველაფერი მთავარი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს ემოციებზეც აისახა. მატჩის დასრულების შემდეგ პორტუგალიელმა სპეციალისტმა მის მშობლიურ ენაზე უწმაწური ფრაზა წარმოთქვა.

სავარაუდოდ, ეს ემოცია სიხარულისგან იყო გამოწვეული და მოურინიოს ნამდვილად არ გასჩენია სურვილი, ვინმესთვის მიეყენებინა პირადი შეურაცხყოფა. თუმცა, ასე არ ფიქრობს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია და ამ ფაქტის გამოძიება დაიწყო. მოურინიოს არც ისე მსუბუქი სასჯელი ელის. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს, რომ მოურინიო ისევე დასაჯოს, როგორც ეს 2016-17 წლების სეზონში გააკეთა. სასჯელი იქნება 1-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 58.000 გირვანქა სტერლინგი.

# გერმანიის ანტირეკორდი, გიბრალტარის რეკორდი



ერთა ლიგის ა დივიზიონის პირველ ჯგუფში, მესამე ტურის მატჩი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა საფრანგეთისა და გერმანიის ეროვნულმა გუნდებმა მიიღეს. მსოფლიო ჩემპიონებმა მეტოქე მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს – 2:1.

იოახიმ ლიოვის შეგირდები ტონი კროოსის პენალტით იგებდნენ, თუმცა, ანტუან გრიზმანმა ბუნდესნაკრებს 2 გოლი გაუტანა და ანტირეკორდიც დაამყარებინა. გერმანელებმა მიმდინარე წელს მე-6 მარცხი განიცადეს. მსგავსი რამ ისტორიაში არ მომხდარა.

დავძენთ, რომ 2000 წლის შემდეგ, გერმანელებმა პირველად წააგეს ზედიზედ 2 ოფიციალურ მატჩში.

გიბრალტარი კი, ისტორიის წერას განაგრძობს და 2 ტურით ადრე, ჯგუფის მოგების საკმაოდ რეალური შანსიც აქვს. გიბრალტარელებმა წინა ტურის შეხვედრაში, არსებობის ისტორიაში, პირველი მატჩი სომხეთში მოიგეს, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ და ლიხტენშტეინთან მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

ამრიგად, ამ ჯგუფში ვითარება კვლავაც ძალიან დაძაბულია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შვილიშვილმა ბებიას ოცნება აუსრულა



ჩინეთის მცხოვრები ვან ნა თავისი ბებიის საქმროდ გარდაისახა, რათა მისთვის ოცნება აესრულებინა, თავი პატარძლად ეგრძნო.

ვანის თქმით, მის 96 წლის ბებიას თავის დროზე არც საქორწინო კაბის შეძენის საშუალება არ ჰქონდა და არც საქმროსთან ფოტოსურათის გადაღების და ამას მთელი ცხოვრება ნანობდა.

40 წლის შვილიშვილი ბებიასგან მალულად ადგილობრივ ფოტოსტუდიას დაუკავშირდა და გადაღებაზე შეუთანხმდა. მას ეს იდეა მას შემდეგ დაებადა, როდესაც სხვა ხანდაზმული ადამიანების საქორწინო ფოტოსურათები ნახა.

– ვიფიქრე, რომ ბაბუად გარდასახვას შევძლებდი. ბებიას ამით გავახარებდი, საშუალებას მივცემდი, რომ თავი ისევ ახალგაზრდად ეგრძნო, – განმარტა ვანმა.

მისი თქმით, გადაღების დასაწყისში ბებია ცოტათი ღელავდა, მაგრამ მალე დამშვიდდა და სახე გაებადრა, ბებიას სურათები ძალიან მოეწონა, მათი ნახვისას თვალები უციმციმებდა.

# მამაკაცი ცოლს და ახლობლებს ატყუებდა, რომ კიბო ჰქონდა



ინგლისის ქალაქ ლესტერის მკვიდრი დევიდ კეროლი რამდენიმე წლის განმავლობაში ფულის გამო ატყუებდა გარშემომყოფებს, რომ მძიმე დაავადება სჭირდა.

ის მისმა ყოფილმა მეუღლემ ლიუსი ვიტჩერდმა 2006 წელს გაიცნო. მამაკაცმა მაშინვე განუცხადა, რომ მას ლეიკემია ჰქონდა და რეგულარულად იხდიდა ფულს „ქიმიოთერაპიაში“. წყვილი 2011 წელს დაქორწინდა. ოთხი წლის შემდეგ დევიდმა მეუღლეს უთხრა, რომ მისი ავადმყოფობა თერმინალურ სტადიაში გადავიდა და მისთვის აუცილებელი იყო, რომ სამკურნალოდ აშშ-ში გამგზავრებულიყო. სიდედრმა მამაკაცს ამისთვის ორი ათასი ფუნტი სტერლინგი მისცა.

ქალმა მოგვიანებით ამერიკაში მეუღლის ყოფნის ამსახველი ფოტოსურათები ნახა და მიხვდა, რომ ის იქ ერთობოდა და არა მკურნალობდა. თუმცა საკმარისი იყო, მას კეროლის დიაგნოზში ეჭვი შეეტანა, რომ ის განაწყენებულის სახეს იღებდა და ეუბნებოდა, რომ ურთიერთობა ერთმანეთის ნდობაზე უნდა ჰქონოდათ აგებული. კეროლი მეუღლეს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ „ქიმიოთერაპიის“ პროცედურებზე გაჰყოლოდა და ამას იმით ხსნიდა, რომ მის ფსიქიკას უფრთხილდებოდა, ვინაიდან ასეთ დროს საშინელი სანახავი იყო. მან ისიც კი გააკეთა, რომ თანამშრომელს შეუთანხმდა, მას თავი მის მკურნალ ექიმად გაესაღებინა და მისი მეუღლისთვის დაერეკა. ეს ვიტჩერდის მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა და მეუღლეს გაშორდა.

ცოლთან გაშორების შემდეგ კეროლი რაგბის კლუბში გაწევრიანდა. ერთ-ერთი მატჩის დროს მან ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ის უკვე თანაგუნდელებს ატყუებდა, რომ ლეიკემია და გულზე სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მას შემდეგ კეროლს მუდმივად უმასპინძლდებოდნენ კერძებითა და სასმელებით და ორჯერ მისთვის საქველმოქმედო ღონისძიებაც კი მოაწყვეს. მან მათაც მოატყუა, რომ სამკურნალოდ აშშ-ში ესაჭიროებოდა გამგზავრება და თანაგუნდელებმა ორი ათასი ფუნტი სტერლინგი შეუგროვეს.

ვიტჩერდმა და დედამისმა კეროლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ქალაქ კესტერის სასამართლომ კეროლს 26-კვირიანი პატიმრობა შეუფარდა, ასევე ორი წელი პირობითი სასჯელი და 180 საათი სავალდებულო საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულება. გარდა ამისა, მან ყოფილ ცოლსა და სიდედრს უნდა გადაუხადოს ორი ათასი ფუნტი სტერლინგი და ერთი წლის განმავლობაში მათთან მიახლოვება აეკრძალა.

# ვიეტნამელს ყურში სოკოები გამოეზარდა



ვიეტნამში მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ექიმს ყურში ტკივილის გამო მიმართა და გასინჯვის შემდეგ ყურის არხში სოკოები აღმოაჩნდა.

მამაკაცმა ქალაქ ჰანოის მახლობლად მდებარე საავადმყოფოს ყურში ტკივილის და მუდმივად ფხანის ჩივილით მიმართა. ექიმმა ყურის ნიჟარაზე შავი სპორები აღმოაჩინა, ხოლო ოტოსკოპიამ აჩვენა, რომ ყურის არხში სოკოების „მთელი ტყე“ იყო ამოსული. ექიმის თქმით, მამაკაცს დახმარებისთვის მოგვიანებით რომ მიემართა, სოკოებს შესაძლოა მის ყური დაეშალათ.

ექიმის თქმით, მამაკაცს ოტომიკოზი აქვს, რომლის გამაღიზიანებელი სოკო შავი ასპერგილია. მისი განკურნება ყურის წვეთებით და ყურების ვაკუუმური გაწმენდითაა შესაძლებელი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

18 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – მიენდეთ პარტნიორების რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში ახლო ნათესავების დახმარების იმედი გქონდეთ. **კურო** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **ტყუპები** – შესაფერისი დღეა კომერციული საქმიანობისთვის. ბიზნესმოლაპარაკებები წარმატებით ჩაივლის. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ლომი** – დაისვენეთ. შესაფერისი დღეა ფიზიკური დატვირთვისა და სპორტისთვის. **ქალწული** – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **სასწორი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **ღრიანკალი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია. **მშვილდოსანი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **მერწყული** – დაწყებული საქმე დიდ ძალისხმევასა და პროფესიულ ცოდნას მოითხოვს. ემოციები აკონტროლეთ. **თევზები** – პროფესიულ საქმიანობაში გარეშე პირებს ნუ ჩარევთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი ძიუდოისტი; 2. ბრიტანული არაყი; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. გზის საფარი; 9. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 11. ყირგიზეთის დედაქალაქი; 15. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 16. ტყავის დამამზადებელი ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 21. სპეციალური მარხილებით შეჯიბრება სწრაფდაშვებაში; 22. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 7. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 8. ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აკადემიკოსი; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. ძაფზე ასხმული სამკაული; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 18. უნგრული ღვინო; 20. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 23. აშშ-ს პრეზიდენტი; 24. ფეხბურთში მცველის ძველი სახელწოდება; 25. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 26. ბერძნული ყველი; 27. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თოფი; 6. ხვიფლი; 8. გოდინი; 11. სტიპლჩეზი; 13. სპეტაკი; 14. „ბაგრატი“; 15. ხილნარი; 19. დეფო.

**თარაზულად:** 1. ხელვაჩაური; 4. თავთუხი; 7. ხავერდი; 9. ბომონდი; 10. ოსერი; 12. ელინისტი; 16. უილიამსი; 17. ბერლინი; 18. კროსვორდი; 20. ზოფხიტო; 21. კივი; 22. სიტროენი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზუროსი; 2. ნიცშე; 3. პრესტო; 4. სქოლიო; 6. იამაიკა; 9. ზურნა; 11. ბორუსია; 15. სეიდებადი; 16. ოაზისი; 17. ნუვორიში; 19. ოლსტერი; 21. კაპრალი; 22. ჰამამი.

**თარაზულად:** 5. კუპიდონი; 7. ალიგოტე; 8. დომინო; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. დუომო; 14. ბონისტიკა; 18. წრუტო; 20. ხანუკა; 23. ნასერი; 24. „პუმა“; 25. მისური; 26. მუდო; 27. პლანერი.

# მასტერი საავადმყოფოში მოხვდა




რეპერი გიორგი პავლიაშვილი, იგივე მასტერი საავადმყოფოში მოხვდა. მიზეზი პნევმონიაა.

ხელოვანი მკურნალობის კურსს გადის და აცხადებს, რომ ფეხბურთის სტადიონზე ვიზიტი პნევმონიის ფასად დაუჯდა.

მასტერის უამრავი გულშემატკივარი ამხნევებს და გამოჯანმრთელებას უსურვებს.

# სტეფანე მღებრიშვილი: „მოსკოვში სამღერად არ მივდივარ!“



ამ განცხადების გაკეთება სტეფანეს მას შემდეგ მოუხდა, რაც მოსკოვში დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ორგანიზატორებმა მომღერლის სახელის ხსენებით ქართველი კოლეგების გადაბირება დაიწყეს.

**სტეფანე:**

– არ გეგონოთ პათეტიკური და ქულების დამწერი განცხადება. უბრალოდ, უკვე მეათედ გადაამოწმეს და მინდა განვმარტო:

რაღაც კონცერტი ტარდება მოსკოვში, სადაც სხვა ქართველი მომღერლები გამოდიან და მათ შორის მეც მივიღე შემოთავაზება. იგივე კონცერტიდან სამი სხვადასხვა ადამიანი დამიკავშირდა, სხვადასხვა ბიუჯეტით, რაზეც, გასაგები მიზეზების გამო, უარი მიიღეს!

მას შემდეგ უკვე მერამდენედ უკავშირდებიან ჩემს კოლეგებს და ჩემს სახელს უხსენებენ მოსკოვში წამსვლელთა სიაში! არასდროს არ თქვა არასდროს, მაგრამ მოსკოვში ნამდვილად არ მივდივარ სამღერად! ეგ კი არა და ჩემმა მეგობრებმა იციან, სოლო კონცერტს ხან სად მთავაზობენ და ძალიან სერიოზული ხალხი და ხან სად რუსეთში. აქამდე არ მიმარიაჟია ამით, რომ უარს ვამბობ გამუდმებით. მაგრამ ახლა გამოსავალი არ დამიტოვეს.

ძვირფასო „კოლეგებო“, მე მაგ კონცერტში არ ვიქნები, არავითარ შემთხვევაში. წარმატებებს გისურვებთ!

# ირაკლი კაკაბაძე ბელინსკის ქუჩაზე გონწასული იპოვეს



მწერალი ირაკლი კაკაბაძე ბელინსკის ქუჩაზე გონწასული იპოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მარიამ ჯანელიძემ გაავრცელა:

– ბელინსკის ქუჩის მიდამოებში გონწასული იპოვეს მწერალი ირაკლი კაკაბაძე. ექიმებმა ადგილზევე გამორიცხეს დიაბეტი, როგორც წაქცევის მიზეზი. კაკაბაძე საფაროვის მკვლელობის მიზეზებზე სასაუბროდ მიდიოდა თავის კოლეგასთან. მისი გადარჩენა მოხერხდა იქვე მდგომი ადამიანების საშუალებით.

განცხადების გავრცელებიდან ცოტა ხანში ირაკლი კაკაბაძემ განმარტა, რომ ყველაფერი კარგად არის და მტრების ჯინაზე დიდხანს კარგად იქნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# თბილისის მოდის კვირეული ბელა მირიანაშვილს მიეძღვნება

18 ოქტომბერს თბილისის მოდის კვირეული იწყება. მასში ტრადიციულად მონაწილეობას მიიღებენ ქართველი დიზაინერები გაზაფხული-ზაფხული 2019-სთვის შექმნილი უახლესი კოლექციებით. უკვე კარგად ცნობილ ქართველ დიზაინერებთან ერთად, საკუთარ ნამუშევრებს წარმოადგენენ დამწყები ნიჭიერი დიზაინერებიც. კოლექციებს ცნობილი ქართველი მოდელები მოირგებენ.

სპეციალურად კვირეულისთვის თბილისში ჩამოვლენ ცნობილი უცხოელი ჟურნალისტები, მოდის კრიტიკოსები, ქართული კოლექციებით დაინტერესებული ადამიანები.

ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში საკუთარი წვლილის შეტანისა და ბუნების დაცვის თემის პოპულარიზაციისათვის, თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წლევანდელ სეზონზე სტუმრებისათვის ტრადიციული, ქაღალდის მოსაწვევები არ დაიბეჭდება და ღონისძიებაზე დასწრებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეძლებთ.

ყოველ წელს თბილისის მოდის კვირეული ცნობილ ქალბატონებს ეძღვნებათ. წელს კვირეული ლეგენდარული ქართველი ქალის, საკულტო კარიერისა და სიყვარულის ისტორიის მქონე ქალბატონს ბელა მირიანაშვილს მიეძღვნება. მსახიობის შვილის, ნანუკა ხუსკივაძისთვის ეს ჟესტი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ბელა მირიანაშვილი წელს 80 წლის გახდებოდა, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღინიშნა ეს საიუბილეო თარიღი. გამონაკლისი არც თბილისის მოდის კვირეულია.

პროექტი კვირეულის ფარგლებში მეხუთე სეზონია ტარდება და მიზნად ისახავს ისტორიული ქართველი ქალების საერთაშორისო პრესისთვის, ახალი თაობისთვის გაცნობას, გახსენებას და წარდგენას. სიმბოლურია, რომ ამ სეზონზე პროექტის მხარდამჭერთა შორის არის საქართველოს ფოსტაც. 1959 წელს მოხუცმა ფოსტალიონმა პენსიაზე გასვლის წინ უკანასკნელად ჩამოუარა უბნის ბინადრებს და თავისი შემცვლელი, ახალგაზრდა გოგონა ლამარა წარუდგინა, რომლის როლსაც ფილმში ბელა მირიანაშვილი თამაშობს. კვირეულის ორგანიზატორები 18 ოქტომბერს მსახიობის საკულტო როლის და ეპოქის გაცოცხლებას გეგმავენ.

რაც შეეხება დიზაინერებს, თბილისის მოდის კვირეულს ლაშა ჯოხაძის უახლესი კოლექცია გახსნის, რომელსაც კვირეულში მონაწილე დიზაინერები შეენაცვლებიან.



თბილისის მოდის კვირეული 21 ოქტომბერს დასრულდება.

# თაკო ჩარკვიანს ქეთევან კიკნაძე უპირისპირდება

მსახიობ ნანა ლორთქიფანიძის შემდეგ, თაკო ჩარკვიანს უკვე მისი დედა, მსახიობი ქეთევან კიკნაძე უპირისპირდება:

– ჩამრეცხავი ჩაირეცხება, მდევნელი განიდევნება, ახლა თურმე ლაგამ ამოდებულები, აქაც გეშლება ჩემო კარგო, უმადურობა დიდი უბედურებაა. სიცოცხლეს რომ გაჩუქებს ადამიანი, რა თქმა უნდა, მადლობა აქ ცოტაა, არც კი იცი, რა მოიმოქმედო. მას ადამიანობა უნდა დაანახო, იგრძნოს მადლიერება და ერთგულება შენი, მეტი არაფერი შეგიძლია.

არ მინდა შეურაცხგყო ჩემი საყვარელი ადამიანის შვილი, მაგრამ არსებობს



თქმულება, დედას ყველაზე ძალიან მახინჯი შვილი უყვარსო, შენს მიმართ ჩემი შეხედულება შეიცვალა, მაგრამ გრძნობა არა.

ადამიანი ცხოვრების ბოლომდე რომ დაგაფინანსებს, გიმკურნალებს და შენს ძმას ფეხს შეუნარჩუნებს, შემდეგ მის წინააღმდეგ იბრძვი, რა ჰქვია ნეტა ამას, სახელი თვითონ დაარქვი.

მინისტრობა არ გიბოძეს და ამხედრდი? შენს რაშს ამოსდე ლაგამი. ყველაფერი გაწირე? ხალხი მშიერიაო, შენ გაქვს კაფეები, რესტორნები, სასტუმროები, ერთი დღე გაუღე კარები და დააპურე, მხოლოდ ერთი დღე.

ბიძინამ ადამიანებს ღირსება დაუბრუნა, გაძვალტყავებულ ხალხს სიცოცხლე დაუბრუნა, ოი, როგორი დამნაშავეა. ახლა შენ და შენმა პადრუგებმა გინდა „ინწელიგენცია“ დაგვარქვით, რომელი კატეგორიაც გინდა იმას მიგვაკუთვნეთ ხელოვანი ხალხი, ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია პროფესია და პროფესიონალიზმი.

მარიკა და გიგა რომ ცოცხალი იყოს, ხმას მისცემდა მაინც იმას, ვინც ქვეყანას გამოადგება, აი, ეს არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. მაპატიოს მისმა სულმა, ვინც ასე მიყვარდა და პატივს ვცემდი. ჩემს ოჯახში კი ტრადიციული თამადა იყო ხოლმე.

ამ რჩევას მეგობრულს დავარქმევდი.

# ლესელიძეზე უძველეს შენობას ბეტონის სართული დააშენეს



უძველესი შენობებისთვის თვითნებურად იერსახის შეცვლა ან დამახინჯება დანაშაულია, თუმცა ამის დღეს არავის ეშინია და ყველა გამალებული აშენებს მისთვის სასურველ და კომფორტულ ნაგებობას.

ლესელიძის ქუჩაზე, შუაგულ თბილისში მდებარე უძველეს შენობას ბეტონის სართული დააშენეს.

ინფორმაცია და ფოტოები რეჟისორმა და ფოტოხელოვანმა გიორგი ვარსიმაშვილმა გაავრცელა:

– დააშენეს ბეტონის სართული... არადა, რა კარგი და ცივილური ბაზრის გაკეთება შეიძლება, მადრიდში და ბარსელონაში როა ეგეთის.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## კალეიდოსკოპი

# ზვიგენი ბავშვების ნავში ჩახტა



სამ ბავშვს, რომლებიც ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ პროსერპაინის მახლობლად თევზაობდნენ, თავის გადარჩენა ჯერ ზვიგენისგან მოუხდათ, რომელიც მათ ნავში ჩახტა, შემდეგ კი ნიანგისგან, რომელიც მათ მდინარეში ელოდათ.

– 65 წლის განმავლობაში მსგავსი არაფერი მინახავს, – განაცხადა ბავშვების ნათესავმა კენ მედსენმა. მისი თქმით, ზვიგენი იმ დროს გამოჩნდა, როდესაც თევზაობა დასასრულს უახლოვდებოდა. მან თავისი ნავი წყლიდან ამოათრია და მისაბმელზე მის დასატვირთად ემზადებოდა, როდესაც წყლის ხმამაღალი დგაფუნის ხმა შემოესმა. შემდეგ მეორე ნავიდან, რომლითაც ბავშვები და მათი მამა მოცურავდა, ყვირილის ხმა გაისმა, ისინი შველას ითხოვდნენ.

როგორც გაირკვა, ნავში ჩახტა ზვიგენი, რომელიც, მედსენის შეფასებით, 2,2 მეტრი სიგრძის იქნებოდა და 150-200 კილოგრამს იწონიდა.

– ბავშვები ნავის ცხვირზე გადავიდნენ, ვინაიდან იქ მცირე ადგილი იყო, – ყვება მედსენი, – დავინახე ნავის სკამი, რომელიც მდინარეს მიჰქონდა, ის იქ ზვიგენის ჩახტომის შედეგად აღმოჩნდა.

საქმეს კიდევ უფრო ის ართულებდა, რომ იქვე ახლოს, წყალში ორმეტრიანი ნიანგი იმალებოდა.

– ისინი ყველანი ადგილზე გაქვავდნენ, – ამტკიცებს მედსენი, – მათი მამაც კი, ვინაიდან არ იცოდა, რა გაეკეთებინა.

მეთევზემ მათკენ გაცურა, მაგრამ როგორც კი მათ გვერდით აღმოჩნდა, მიხვდა, რომ მარტო ორმეტრიან ზვიგენს ვერ გაუმკლავდებოდა. ბავშვები მის ნავში გადასხდნენ, რის შემდეგაც მან მათი ნავი საკუთარ ნავს ჩაუბა და ნაპირისკენ გაცურა. იქ კი მის დასახმარებლად ორი სხვა მამაკაცი მივიდა. მათ ზვიგენი კუდით ამოათრიეს. მედსენის თქმით, ბავშვები მომხდარმა ისე შეაშინა, ამბობენ, რომ სათევზაოდ აღარასოდეს წავლენ.

# ზვიგენების აკვარიუმში ჩავარდნილი ქალი ცოცხალი გადარჩა



ჩინეთში მაღაზიის თანამშრომელ ქალს ფეხი დაუცდა და ზვიგენების აკვარიუმში ჩავარდა, როდესაც მათ საჭმელს აძლევდა.

ინციდენტი ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ცზიასინის სავაჭრო ცენტრში მოხდა. თანამშრომლების შეკრებაზე დაგვიანებული ქალი მინის ხიდზე გარბოდა რომელიც ზვიგენების აკვარიუმის თავზეა გადებული და ვერ შენიშნა, რომ თავსახური ახდილი იყო. მან ფეხი წამოკრა და შიგნით იმ დროს ჩავარდა, როდესაც მტაცებელ თევზებს საკვებს აძლევდნენ.

კოლეგები დაუყოვნებლივ მიცვივდნენ ქალის დასახმარებლად: დაცვის ორი თანამშრომელი წყალში ჩახტა და თანამშრომელი ამოიყვანეს, ინციდენტის შედეგად ქალი არ დაშავებულა.

სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელობის ცნობით, ინციდენტი დილით მოხდა, მომხმარებლებისთვის სავაჭრო ცენტრის გახსნამდე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ოქტომბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

- აშშ დოლარი — 2.6855
- ევრო — 3.1095
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5508
- 100 რუსული რუბლი — 4.1008

**ამინდის პროგნოზი 18 ოქტომბრისთვის**




## ბრიტანელმა ალკოჰოლზე უარის თქმის შემდეგ წონაში დაიკლო

ბრიტანელმა დიონ მეინმა წონაში 30 კილოგრამი ათ თვეში მას შემდეგ დაიკლო, როდესაც უარი თქვა ალკოჰოლზე და საკუთარი ცხოვრების წესი შეცვალა.

2017 წელს 22 წლის გოგონამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო საქველმოქმედო ფლეშმობში „ფხიზელი ოქტომბერი". იმ დროს ის 99 კილოგრამს იწონიდა და რეგულარულად მოიხმარ-



და ალკოჰოლურ სასმელებს. ყოველდღე, სამსახურის შემდეგ, ის ერთ ან ორ ბოკალ ღვინოს სვამდა, ხოლო დასვენების დღეებში მეგობრებთან წვეულებებზე დაახლოებით ხუთ ლიტრ სიდრს სვამდა.

მეინმა ერთი თვე გაძლო ალკოჰოლის გარეშე და შენიშნა, რომ სამი კილოგრამი ჰქონდა წონაში დაკლებული. გოგონას ძალიან გაუკვირდა და ამასთანავე გაუხარდა, მაგრამ საკმარისი იყო ცხოვრების ჩვეულ წესს დაბრუნებოდა, რომ ისევ მოიმატა წონაში. 2018 წლის იანვარში გოგონამ გადაწყვიტა, ისევ ექსპერიმენტი განეახლებინა. გარდა ამისა, მან უარი თქვა არაჯანსაღ საკვებზე და სპორტდარბაზში სიარულიც დაიწყო.

ამჟამად მეინი 69 კილოგრამს იწონის და 50-ის ნაცვლად 40 ზომის ტანსაცმელს ატარებს. მისი თქმით, წონაში დაკლების შემდეგ თავს უფრო დამაჯერებლად გრძნობს. ის ალკოჰოლურ სასმელს ახლა უკვე მხოლოდ დღესასწაულის დღეებში მიირთმევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება ისევ სურს



ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელ ნეიმარ ჯუნიორს ისევ სურს ბარსელონაში დაბრუნება. მსგავსი ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა და მაშინ ნეიმარმა ამ თემაზე საუბარს თავი აარიდა.

ნეიმარი ხშირად ეკონტაქტება თავის ყოფილ თანაგუნდელებს და მას ბარსელონა ენატრება, მიუხედავად იმისა, რომ მან ეს გუნდი თავისი სურვილით დატოვა.

პსჟ-მ 2017 წელს ნეიმარის ტრანსფერში 222 მილიონი ევრო გადაიხადა.

## იოაჰიმ ლიოვი შესაძლოა მალე გაათავისუფლონ



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოაჰიმ ლიოვი შესაძლოა მალე გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან. გერმანელებმა ერთა ლიგაზე ძალიან ცუდად იასპარეზეს და ისინი ა დივიზიონიდან ბ დივიზიონში დაქვეითდნენ. ამას თუ დავუმატებთ მსოფლიო ჩემპიონატზე ფიასკოს, ცხადი ხდება, რომ ლიოვი შესაძლოა სულ მალე გერმანიის ნაკრების მწვრთნელი აღარ იყოს.

ჯერჯერობით თვითონ ლიოვი ნაკრებიდან წასვლას არ აპირებს და ამბობს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, სპერმისგან გრიპით დაავადება შეიძლება?

– ახლა იქნებ ისიც მკითხო, დორბლისგან დაფეხმძიმება თუ შეიძლებაო.

●●●

შვილი სოფელში ჩავიდა მშობლებთან. მაცივრის კარი გამოაღო და ხედავს, იქ შიშველი გოგონას დიდი ფოტოსურათია გაკრული. გაოცებული დედას ეკითხება:

– დედა, ეს რა სურათია ჩვენ მაცივარში?

– ეგ მე გავაკარი შვილო.

– რისთვის?

– იმისთვის, რომ ნაკლები ვჭამო. ყოველ ჯერზე, როდესაც მაცივრის კარს ვაღებ, ფოტოსურათს ვხედავ და ვფიქრობ, აი, როგორი ფიგურა მინდა რომ მქონდეს.

– მერე, დაგეხმარა?

– ჰოც და არაც.

– ეგ როგორ?

– მე ხუთი კილოგრამი დავიკელი, მაგრამ სამაგიეროდ მამაშენმა ათი კილოგრამი მოიმატა.

●●●

ღამით პატრული ძველ ზაპოროჟეცს აჩერებს და ხედავს, რომ მასში 17 მთვრალი კაცი ზის. გაოგნებულმა ისე გაუშვა, რომ ჯარიმის გამოწერაც კი არ გახსენებია, მხოლოდ უთხრა, რომ მეორე დილით სრულიად ფხიზლები მთელი შემადგენლობით გამოცხადებულიყვნენ.

მეორე დილით ჩვიდმეტივე მივიდა. დაიწყეს მანქანაში მათი ჩატენვა. 16 მოათავსეს, მაგრამ მეჩვიდმეტე ვერაფრით ჩატენეს. ამ დროს მძღოლი ეკითხება:

– იქნებ გუშინ ჩვენთან ერთად არ ყოფილხარ?

– გამარჯობა შენი! აბა გიტარაზე დაკვრით ვინ გართობდათ?

●●●

ორი მეზობელი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, არაკორექტულია იმის თქმა, რომ „შიშისგან ჩაისვარა".

– აბა რა უნდა თქვა?

– საფრთხის ყავისფერი დონეა გამოცხადებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.








**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ბეილმა ისევ ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და შესაძლოა მან ერთი თვე ვერ შეძლოს მოედანზე გასვლა.

თავიდან მისი ტრავმა სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ბეილს მკურნალობა ესაჭიროება.

უელსელი ფეხბურთელი ბოლო წლებში საკმაოდ ხშირად იღებს ტრავმებს და ამ მიზეზით მან ბევრი შეხვედრა გამოტოვა. ბეილის არყოფნა რეალისთვის დიდი დანაკლისია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამჟამად რეალს ძალიან რთული პერიოდი აქვს.

## არსენ ვენგერი: „იანვარში დავბრუნდები"



ლონდონის არსენალის ყოფილმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ ის იანვარში აუცილებლად დაუბრუნდება სამუშაოს, ოღონდ ჯერ არ იცის, რომელ გუნდში.

ვენგერის თქმით, მას მოენატრა მუშაობა და ჯერ კიდევ შესწევს ძალები, რომ რომელიმე ევროპული გრანდის მწვრთნელი გახდეს.

სავარაუდოდ, ვენგერი ერთ-ერთ ფრანგულ გუნდს ჩაუდგება სათავეში.

შეგახსენებთ, რომ ვენგერი 22 წლის მანძილზე არსენალის თავკაცი იყო და ის ამ გუნდის ლეგენდად ითვლება, თუმცა ბოლო წლებში არსენალის გულშემატკივარი მის წასვლას აქტიურად ითხოვდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე მდებარე პარანაზე აგებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 5. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 6. სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულის და სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 8. ცნობილი ამერიკელი ტელეჟურნალისტი ქალი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ძველბერძენი მოქანდაკე; 15. პრიმიტიული, უხეირო ლექსები; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო ძველად; 4. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. იტალიური პელმენი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 16. გეომეტრიული ფიგურა; 17. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა